# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№140 (9820) 2024 წლის 6 დეკემბერი. პარასკევი

ფასი 1 ლარი


## ბულბულას სინდრომი

## „საქართველო, ლამაზო“...



სამი რამ აკლია, ყმაწვილებო, დედამიწას: ზღვას ხიდი, ცას კიბე, და ადამიანს სამართალი. კარგად დაიმახსოვრეთ ეს, ყმაწვილებო!

3

## ოპოზიცია გაღმა გადის ჩაილურის წყლის დასალევად...



4

...ვერანაირი ალტერნატიული პარლამენტი ვერ შეიქმნება, ეს იქნება მორიგი კრახი ამ ოპოზიციისთვის.

## ირაკლი კობახიძე: სიცრუე რადიკალიზმის მთავარი იარაღია!



2

## მანანა მაისურაძე

## რატომ არ უნდა მოვუხადოთ ბოდიში ოს სეპარატისტებს!



9

## ანრი ოხანაშვილი: კეზერაშვილმა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაფლანგა ქართული ჯარისთვის განკუთვნილი 5 060 000 ევრო!



2

## უცხოური აგენტების შესახებ კანონს სერბეთის პარლამენტიც იღებს!



8

## დიდი მამულიშვილი



6-7

## ერის მემატიანე

### კვლავ ჩვეული შემართებით!

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი იუბილარია. მისი გავლილი ცხოვრების ამ დიდ და ხანგრძლივ გზას თვალს თუ გადავავლებთ, განსაცვიფრებლად დიდია მისი ნამოღვაწარი. ის ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ქვეყნის გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწეა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის აღმშენებლობაში. შემდგომში, მიზეზთა გამო, იგი სრულად უთმობს დროს სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას, ზედმიწევნით იკვლევს დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქას, აქვეყნებს, შეიძლება ითქვას, უნიკალურ შრომებს, რაც იმ დროისთვის პიროვნულ გამბედაობას მოითხოვდა და გამოცემისთანავე გახდა მის მიმართ უმაღლესი ხელისუფლების კრიტიკის საგანი.**

ფასდაუდებელია მისი ღვაწლი ეპოქალური ნაშრომის „ქართული ენციკლოპედიის“ მრავალტომეულის შექმნასა და გამოცემაში. იგი, როგორც მკვლევარი და მეცნიერების ორგანიზატორი, დამსახურებულად აღიარებულია დიდი ივანე ჯავახიშვილის საქმის ღირსეულ გამგრძელებლად. ბატონი როინი, დღესაც, მოწაფეებთან, კოლეგებთან ერთად წარმატებით იკვლევს საქართველოსა და კავკასიის ქვეყნების ისტორიის რთულ და ჯერ კიდევ შეუსწავლელ საკითხებს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბატონი როინის საქმიანობა, როცა იგი დამოუკიდებელი საქართველოს ურთულეს პერიოდში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი იყო. მან ჩვეული პრინციპულობითა და დიდი ტაქტით შეძლო ღირსეულად გაძღოლოდა მისთვის სათაყვანებელ უნივერსიტეტს.

დღეს ბატონი როინი სათავეში უდგას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას და წარმატებით აგრძელებს უდიდეს ქართველ მეცნიერთა სახელოვან ტრადიციებს.

მივესალმებით ბატონი როინის წარჩინებულ, ლამაზ ოჯახს. სათნო და გულისხმიერ მეუღლეს, შვილებს და შვილიშვილებს ოჯახებით, შვილთაშვილებს, რომლებიც ღირსეულად ავსებენ ბატონი როინის რთულ და შემოქმედებით დატვირთულ მოღვაწეობას.

ბატონი როინი ერთგული, საიმედო მეგობარია. გამოირჩევა დიდი ტაქტითა და გულისხმიერებით.

გულითადად ვულოცავთ აკადემიკოს როინ მეტრეველს 85 წლის იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, ახალ წარმატებებს სამეცნიერო, სამეცნიერო-ორგანიზატორულ, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმიანობაში!

აკადემიკოსი **რამაზ ხუროძე,**
აკადემიკოსი **ვლადიმერ (ლადო) პაპავა.**



## ირაკლი კობახიძე:

# სიცრუე რადიკალიზმის მთავარი იარაღია!

**გუშინ საბოლოოდ დადასტურდა, რომ ჩავარდნილი „ნაცმაიდნის“ უკან იდგნენ მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ძალები, პოლიტიკური პარტიები. ძალადობის მთავარი წყარო იყო პარტიული ოფისები და როგორც კი ჩვენ შევედით ამ პარტიულ ოფისებში და ამოვიღეთ შესაბამისი ძალადობის იარაღი, მაშინვე დასრულდა ძალადობა. გუშინ რესურსი აღარ ჰქონდათ პარტიულ ძალადობრივ დაჯგუფებებს ძალადობისთვის. როგორც კი მოიშალა ძალადობის წყარო, მაშინვე აღარ მოუწია რეაგირება შინაგან საქმეთა სამინისტროს. ძალიან კარგად ჩანდა ყველაფერი, რაზეც ჩვენ ვსაუბრობდით – როცა არ იყო ძალადობა მომიტინგეების, ძალადობრივი დაჯგუფებების მხრიდან, საერთოდ არავითარი რეაგირების გაწევა არ დასჭირდა შინაგან საქმეთა სამინისტროს.**

რაც შეეხება მითს ე.წ გულწრფელი ახალგაზრდების თაობაზე, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი გულწრფელი ახალგაზრდაა საქართველოში. მათი მცირე ნაწილი არის ოპოზიციის მხარეს, აქვს შესაბამისი განწყობები, უმეტესი ნაწილი არის „ქართული ოცნების“ მხარეს, მაგრამ მითი იმის თაობაზე, რომ ქუჩებში ამ ერთი კვირის განმავლობაში ძალადობდნენ გულწრფელი ახალგაზრდები, თავიდან ბოლომდე დაიმსხვრა. ეს იყო თავიდან ბოლომდე მართული და პარტიულად ორგანიზებული ძალადობრივი დაჯგუფებები, რომლებიც მოქმედებდნენ ამ დღეების განმავლობაში რუსთაველის გამზირზე. არსებობდა ყველაზე დიდი რევოლუციური ჯგუფი, „დაიტოვე“, აქაც გაირკვა, რომ ამ ჯგუფის ე.წ. ადმინი ყოფილა სტაჟიანი „ნაციონალი“, რომელიც უკრაინაშიც კი სტუმრობდა სააკაშვილს. აქაც ნული გულწრფელობა, არავითარი გულწრფელობა, თავიდან ბოლომდე პარტიული რესურსი იყო ჩართული ამ „ნაცმაიდნის“ მცდელობაში, რომელიც მეოთხედ ჩავარდა ჩვენს ქვეყანაში ამ ოთხი წლის განმავლობაში.

როდესაც ვეღარ ძალადობდნენ ფიზიკურად, როცა ამოიწურა ამის რესურსი, გადავიდნენ უკვე ფსიქოლოგიურ ძალადობაზე, რაც არის დამახასიათებელი ლიბერალური ფაშიზმისთვის. დაიწყეს სიების გამოქვეყნება, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების, პოლიციელების. თუ ვინმეს შეიძლება ეშინოდეს რაიმე სიის, ესენი არიან სწორედ რადიკალები. ჩვენ ვიმოქმედებთ, ამას ვპირდებით აუცილებლად ყველას.

ჩავარდნილი „ნაცმაიდნის“ უკან იდგა უცხოური დაფინანსება. სწორედ ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ თავის დროზე ეს ადამიანები, რადიკალური ჯგუფები, რადიკალური პარტიები და მათი პატრონები ასე უპირისპირდებოდნენ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონს. მათ სურდათ, საქართველოში გაუმჭვირვალედ მოეწყოთ რევოლუცია. ჩვენ მივიღეთ ძალიან მნიშვნელოვანი კანონი, რომელმაც განამტკიცა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობა – „გამჭვირვალობის კანონი“, რომელსაც უწოდეს „რუსული კანონი“ სწორედ ამ ადამიანებმა, მოძალადეებმა და რადიკალებმა, ემსახურებოდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას. ლიბერალური ფაშიზმის უკანაც დგას უცხოური დაფინანსება. მთელი ამ წლების განმავლობაში, ასეთი ტიპის დაფინანსება ემსახურებოდა საქართველოში რადიკალიზმის გაღვივებას, ე.წ. პოლარიზაციის გაღვივებას და რაც ყველაზე მძიმეა, ემსახურებოდა ლიბერალური ფაშიზმის გენერირებას ჩვენს ქვეყანაში. განსაკუთრებით, ბოლო 4 წლის განმავლობაში, ძალიან ბევრი უცხოური ფული დაიხარჯა ლიბერალური ფაშიზმის იდეოლოგიის გავრცელებაზე ჩვენს ქვეყანაში, რაც ძალიან მძიმე მოვლენაა. მინდა, მოვუწოდო განსაკუთრებით ახალგაზრდების მშობლებს, საკუთარი შვილები მოარიდონ ლიბერალური ფაშიზმის ყველა კერას. ჩვენ, თავისთავად, ჩვენი მხრივ ვიზრუნებთ იმაზე, რომ ასეთი კერები მაქსიმალურად მოიშალოს ჩვენს ქვეყანაში.

**სიცრუე არის რადიკალიზმის მთავარი იარაღი, რადიკალური ოპოზიციის და მათი პატრონების მთავარი იარაღი. ხედავდით, როგორ ცდილობდა „ნაცმედია“, შეცდომაში შეეყვანა საზოგადოება და რაც ძალიან სამწუხაროა, ზუსტად იმავე ხაზით მუშაობდა უცხოური მედიაც, სრული სიცრუე, სრული დეზინფორმაცია, სრული სიყალბე და სრულიად ცალმხრივი ინფორმაცია. მე შემიძლია, მარტივად შევთავაზო უცხოურ მედიას ნებისმიერ ფორმატში ჩართვა, ოღონდ ეს უნდა იყოს აუცილებლად პირდაპირი ეთერი. დარწმუნებული ვარ, რომ გამოხმაურება მაინცდამაინც ფართო არ იქნება, ენთუზიაზმი მაინცდამაინც დიდი არ იქნება, გამომდინარე იქიდან, რომ ეს სიცრუე არის მოდებული მთელ საერთაშორისო მედიას დღევანდელ დღეს, რაც ძალიან სამწუხაროა.**

**„ნაცმაიდნის“ ჩავარდნილი მცდელობის ფარგლებში რადიკალებმა იკადრეს ყველაფერი, ყველაფერი უკადრებელი, ძალადობრივ ქმედებებში ბავშვების ჩართვის მცდელობის ჩათვლით. ეს არის ყოვლად ამორალური ქმედება, რაც თავიდან ბოლომდე აჩვენებს ამ ადამიანების სახეს. ბოლო მოეღება კოჰაბიტაციის ნებისმიერ გამოვლინებას ჩვენს ქვეყანაში და ეს იქნება ჩვენი დღის წესრიგის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება, მათ შორის საქართველოს მთავრობის საქმიანობის პირობებში. ასევე, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ სრულად დავამთავროთ ლიბერალური ფაშიზმი ჩვენს ქვეყანაში. გარდა იმ ამოცანებისა, რაც აქვს საქართველოს მთავრობას – ეს არის ეკონომიკის განვითარება, ჩვენი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ჩვენი საგარეო პოლიტიკური პოზიციების გაძლიერება და ა.შ. ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იქნება კოჰაბიტაციის ყველა გამოვლინების და ლიბერალური ფაშიზმის საბოლოოდ დამთავრება ჩვენს ქვეყანაში. ეს პროცესი დაიწყო სწორედ ამ დღეებში. ეს პროცესები იყო საქართველოში ლიბერალური ფაშიზმის დასასრულის დასაწყისი.**

ჩვენ ვაჩვენეთ ჩვენი სახელმწიფოებრიობა, ვაჩვენეთ ის, რომ ამ ოთხი წლის განმავლობაში თვისებრივად განვამტკიცეთ საქართველოს სახელმწიფოებრიობა და რა თქმა უნდა, მომავალშიც ვიღებთ სრულ პასუხისმგებლობას იმაზე, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარების ეს ასპექტი კიდევ უფრო მეტად განმტკიცდება. საქართველო არის სახელმწიფო და საქართველო დარჩება ძლიერ, დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოდ.

**5.XII.2024.**

# სტრასბურგმა კეზერას დანაშაული დაუმტკიცა



**„გაფლანგვის ბრალდებაზე თავდაცვის ყოფილი მინისტრის გამამართლებელი განაჩენის გაუქმება უსამართლო არ იყო. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „კეზერაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ ერთხმად დაადგინა რომ ადგილი ჰქონდა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას (სამართლიანი სასამართლოს უფლება) უზენაესი სასამართლოს ობიექტური მიუკერძოებლობის არარსებობის გამო.**

სასამართლოს ინფორმაციით, ამასთან, კეზერაშვილთან დაკავშირებით არ დარღვეულა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი და მესამე პუნქტები (სამართლიანი სასამართლოს უფლება) უზენაესი სასამართლოს მიერ ქვედა ინსტანციების სასამართლოების მიერ განმცხადებლის გამამართლებელი განაჩენის გაუქმების გამო.

პრესრელიზში აღნიშნულია, რომ საქმე „კეზერაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ ეხებოდა სამართალწარმოების მთელ რიგს, რომელშიც თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი გაასამართლეს და საბოლოოდ დაუსწრებლად დამნაშავედ ცნეს გაფლანგვისთვის.

სასამართლოს პრესრელიზის თანახმად, სასამართლომ მიიჩნია, რომ არაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ მოსამართლე შ.თ.-მ აჩვენა პირადი მიკერძოება შესაბამის სამართალწარმოებაში. თუმცა, რაც შეეხება ობიექტურ მიუკერძოებლობას, სასამართლომ მხედველობაში მიიღო „გენერალური პროკურატურის იერარქიული სტრუქტურა საქართველოში, გენერალური პროკურორის მნიშვნელოვანი როლი და ფართო უფლებამოსილებები შესაბამისი შიდა კანონმდებლობის მიხედვით და პოლიტიკურად მგრძნობიარე კონტექსტის აქტუალობა გახმაურებულ სასამართლო პროცესებში“.

„არ შეიძლება იმის არ შემჩნევა, რომ როგორც კი შ. თ. დაინიშნა გენერალურ პროკურორად, იგი პასუხს აგებდა პროკურატურის მიმდინარე საქმიანობებზე, მათ შორის განმცხადებლის გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით. მისი ჩართვა მოსამართლეთა შემადგენლობაში, რომელმაც მოგვიანებით განიხილა განმცხადებლის საქმე, ასეთ პირობებში საკმარისი იყო უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების ობიექტურ მიუკერძოებლობაზე ეჭვის შეტანისთვის. ამიტომ ადგილი ჰქონდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას ობიექტური მიუკერძოებლობის არარსებობის გამო“, - აღნიშნულია სასამართლოს პრესრელიზში.

რაც შეეხება განმცხადებლის საჩივარს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებასთან დაკავშირებით, პრესრელიზის თანახმად, სასამართლომ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ მის მიერ ამ სასამართლოს წინაშე წამოყენებული მთავარი არგუმენტი განხილული იყო, თუნდაც არაპირდაპირ. კერძოდ, განმცხადებელი ამტკიცებდა მთელი პროცესის განმავლობაში, რომ არ შეიძლებოდა პასუხისგებაში მიეცათ გაფლანგვისთვის, რადგანაც გარკვეული წვრთნა ნამდვილად ჩატარდა, რაც დასტურდება მოწმეების ჩვენებებით.

„უზენაესმა სასამართლომ განიხილა ეს, მაგრამ მიიჩნია, რომ მოწმის ჩვენებები არარელევანტური იყო იმის დასადგენად, განხორციელდა თუ არა ხელშეკრულება. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა შესაბამისი დოკუმენტების არარსებობა - საბოლოო კვარტალური ანგარიში და მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც უნდა დადებულიყო თავდაცვის სამინისტროსთან სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ - რაც უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია განმცხადებლის საბრალდებო განაჩენის გამამართლებელ ელემენტად, მომჩივანს არ გაუსაჩივრებია მის წინააღმდეგ წარმოების არც ერთ ეტაპზე“, - აღნიშნულია პრესრელიზში.

**სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ უზენაესი სასამართლოს მიდგომა, შესაძლოა, ღია იყო გარკვეული კრიტიკისთვის, გადაწყვეტილების და მასში მოყვანილი მიზეზების განხილვის შემდეგ, სასამართლომ არ დაადგინა, რომ დასკვნები იყო თვითნებური ან აშკარად დაუსაბუთებელი იმ დონემდე, რომ შელახულიყო სამართალწარმოების სამართლიანობა ან გამოეწვია „სამართლიანობის უარყოფა“. მან დაასკვნა, რომ ადგილი არ ჰქონია მე-6 მუხლის 1 და მე-3 პუნქტების დარღვევას იმის გამო, რომ უზენაესმა სასამართლომ გააუქმა განმცხადებლის გამამართლებელი განაჩენი წერილობითი წარმოების გზით.**

## ანრი ოხანაშვილი:

### კეზერაშვილმა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაფლანგა ქართული ჯარისთვის განკუთვნილი 5 060 000 ევრო!

**„სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურდა, რომ დავით კეზერაშვილმა თავდაცვის მინისტრობის დროს 2008 წლის აგვისტოს ომამდე, მცირე ხნით ადრე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაფლანგა ქართული ჯარისთვის განკუთვნილი დიდი ოდენობით თანხა, 5 მილიონ 60 ათასი ევრო, რაც დღევანდელი კურსით შეადგენს დაახლოებით 15 მილიონ ლარს. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ დავით კეზერაშვილის მიმართ პოლიტიკური ნიშნით დევნას ადგილი არ ჰქონია. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი დავით კეზერაშვილის დამნაშავედ ცნობის შესახებ იყო დასაბუთებული და მის მიმართ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას ადგილი არ ჰქონია“.**

რაცა ვართ, ესა ვართ!
საქართველოს რესპუბლიკა

## ბულბულას სინდრომი

# „საკარტველო, ლამაზო“...

**სამი რამ აკლია, ყმაწვილებო, დედამიწას: ზღვას ხიდი, ცას კიბე, და ადამიანს სამართალი. კარგად დაიმახსოვრეთ ეს, ყმაწვილებო! (ბულბულა).**



**იმას, ვისზეც დღეს ვაპირებ „გალაშქრებას“, მეეჭვება იცოდეს, ვინ იყო ბულბულა. ზუსტად არც მე ვიცი რეალურად ცხოვრობდა საუკუნის წინ, თუ მხოლოდ გოგლა ლეონიძის ლიტერატურული პერსონაჟია. თუმცა, გამონათქვამს, რომელიც შესავალშია გამოტანილი, ყოველთვის ექნება არსებობის უფლება. მოსაზრებაზე, რომელიც ასე ლამაზად ჩამოაყალიბა კოლორიტულმა ბულბულამ, მეეჭვება, ოდესმე ეფიქროს დიპლომატ პავლეს, რომელიც რამდენიმე საჯარო გამოსვლაში პათეტიკურად აჟღერებდა — „საკარტველო ლამაზო“-ს! რა ენაღვლება, ცხოვრობს პავლე დიპლომატი ლამაზ საქართველოში, იღებს სოლიდურ გასამრჯელოს, იუმჯობესებს ფინანსურ და კარიერულ მდგომარეობას. ვიცი, ვიღაც იტყვის, რომ მე დიპლომატიურ ეტიკეტს ვარღვევ, მაგრამ მათ გასაგონად ვიტყვი — მე არ ვარ ოფიციალური პირი, ვარ ერთი რიგითი ამქვეყნიერი, არ დავიცავ ეტიკეტს და პირდაპირ ვიტყვი იმას, რასაც ვფიქრობ. მიმაჩნია, რომ თვითონ დიპლომატი პავლე არღვევს ყოველგვარ დიპლომატიურ ეტიკეტს, უხეშად ერევა იქ, სადაც არაფერი ესაქმება და დასაწვავად იმეტებს ჩემს ქალაქს. თვითონ ზის მშვიდად, არაფერს განიცდის, არაფერზე რეაგირებს და ღიღინებს: „საკარტველო, ლამაზო“!**

უცნაურია ერთი გარემოება, რატომ უნდა აგზავნიდეს დიპლომატიური სამსახურის ხელმძღვანელად ევროკავშირი ამგვარ არსებას, ვერაფერი გამიგია. მე არაფერს ვამბობ მის პროფესიულ უნარებზე...

ჩემი დამოკიდებულება სწორედ რომ პირადული და პიროვნულია, თუმცა, ვფიქრობ, არც პროფესიული თვალსაზრისით წყვეტს ზეცაში ვარსკვლავებს. სამწუხაროა, რომ დიპლომატ პავლეს, მედროგე პავლეს სამართალიც კი არ გააჩნია“...

### აზროვნების სიმკვრივე, ანუ $p=\frac{m}{v}$

**როცა** ადამიანს წაკითხულის გააზრების უნარი არ გააჩნია, ბავშვური სინდრომითაა შეპყრობილი. თუ მცირე ასაკოვანს აქვს შანსი, დროთა განმავლობაში დაძლიოს არსებული ხარვეზი, ასაკოვანს აღარაფერი ეშველება, მუდამ გაწყალებული, არამკვრივი აზროვნება ექნება და ვერასდროს გაიზიარებს წაკითხულის ან ნათქვამის შინაარსს. პრობლემა არ უნდა იყოს, თუ ეს რიგით მოკვდავს სჭირს, დავუშვათ მე, მაგრამ როცა გამოცდილ დიპლომატებს, პასუხისმგებლიან მოხელეებს აწუხებთ მარაზმი, მათი ადგილი არაა იქ, სადაც იმყოფებიან.

რაც უფრო მალე გავთავისუფლდებით გონებაშეზღუდულებისგან, მით უკეთესი ქვეყნის განვითარებისთვის. ერთი რამ ნამდვილად მიკვირს, როგორ აღწევენ სიმაღლეებს, არამკვრივი აზროვნების მქონე არსებები.

— ბოროტებამ რომ გაიმარჯვოს, ნორმალურმა ადამიანებმა არაფერი არ უნდა გააკეთონ (ედმონდ ბიორკი).

კარგი ნათქვამია, ვერაფერს იტყვი, ოღონდ გასარკვევია ბოროტების რაობა. ზოგს რა მიაჩნია, ზოგს — რა. მაგალითად ზემოთ ნახსენებ პერსონებს მიაჩნიათ, რომ თბილისში, სამი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის — **კლასიკური გიმნაზია, პარლამენტი, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დაწვა-განადგურება, ბოროტება არაა. ერთი მაგათ ტვინებში ჩამახედა...**

მე კი ვფიქრობ, რომ ყველა ნორმალური ადამიანი საპირისპირო აზრზეა. და ვინც ჩვენს ქალაქში ნაგებობებს წვავს, ანგრევს, ან ყოველივეს გულგრილად უყურებს, არა მარტო მტერი, გონებაშეზღუდული იდიოტია.

აი, ეს გახლავთ ჩემი ადამიანური სამართალი, ხოლო რაც შეეხება ხიდის ზღვარზე გადებას და ზეცაში კიბის აღმართვას, ჯერ არ მაქვს დაგეგმილი.

**მერაბ ხვიჩია,**
2024, 4 დეკემბერი

# ოპოზიცია ქართველ ხალხს სანქციებს უწესებს!!!



**ოპოზიცია გაერთიანებული საინფორმაციო ცენტრის ამოქმედებას აანონსებს — როგორც პარტიების წარმომადგენლებმა თქვეს, აქ საზოგადოებას სისტემატურად მიაწვდიან ინფორმაციას ქვეყანაში განვითარებული პროცესების შესახებ.**

ერთობლივ ბრიფინგზე ითქვა, რომ გააგრძელებენ დასავლელ პარტნიორებთან სანქციების მიმართულებით მუშაობას.

**„საჯარო მოხელეების სამართლებრივი დაცვა იქნება ჩვენი საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც ჩვენ უკვე დაწყებული გვაქვს. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ის მხარდაჭერა, რომელიც დასავლეთიდან აქვს საქართველოს თითოეულ მოქალაქეს.**

**რა თქმა უნდა, ჩვენ მუშაობას გავაგრძელებთ ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან, რათა სანქციები შეეხოს ოლიგარქ ივანიშვილის რეჟიმსა და იმ დამნაშავეებს, რომლებიც თითოეული მოქალაქის წინააღმდეგ იყენებენ სისტემურ უხეშ ძალას“,** — განაცხადა თეონა აქუბარდიამ.

# ქართველებს ნუ აუხირდებით, ვოლოდიმირ!



**უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ საქართველოს დასანქცირების დოკუმენტს ხელი მოაწერა.**

ამის შესახებ ზელენსკიმ ყოველდღიურ დილის მიმართვაში განაცხადა.

მანამდე ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ საქართველოსთვის სანქციების დაწესების ბრძანება გასცა, რაზეც აქტიური მუშაობა მიმდინარეობს.

# ევროპის საბჭო მზად არის, გააგრძელოს საქართველოს მხარდაჭერა!

**„ევროპის საბჭო მზად არის, გააგრძელოს საქართველოს მხარდაჭერა, მათ შორის, იმ სამოქმედო გეგმის ფარგლებში, რომელიც ქვეყანას ევროპულ გზაზე გაჰყვება“, — ამის შესახებ ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი თამარ ტალიაშვილი სოციალურ ქსელში წერს.**

მისი თქმით, გენერალური მდივანი საქართველოში უახლოეს დღეებში აპირებს ჩამოსვლას.



## ფსიქოლოგი დალი ლაშხიძე:

# დედა, რატომ არ უნდა წავიდე სკოლაში, რატომ გავიფიცო?!



**„სასწავლო პროცესის ჩაშლა ნიშნავს, იძულებას, მოარგო მოსწავლეს, სრულიად შეუსაბამო და არაადეკვატური სოციალური როლი,“ — განაცხადა რადიო „სივრცის“ ეთერში ფსიქოლოგმა, გეშტალტთერაპევტმა დალი ლაშხიძემ.**

მისი თქმით, ჩვენ ყველა ვართ ამ დაძაბული ველის ნაწილი და რთულია, არ გვქონდეს გარკვეული დამოკიდებულება, რაც გადადის ფსიქოზურ მდგომარეობაში. წინ არის წამოწეული ფსიქოლოგიური ძალადობაც.

მან სკოლის მოსწავლეების აქციებში ჩართვაზე ისაუბრა და ამ პროცესს მოსწავლეებისთვის დამანგრეველი უწოდა.

„არსებობს ექსპერიმენტი, რა დროსაც ადამიანებს აქვთ როლები ციხის პატიმრების და ზედამხედველების. ადამიანი შედის რომელიმე როლში, ის ირგებს ამ პასუხისმგებლობას და ერგება ამ როლს. რატომ ვაკისრებთ ჩვენ უსუსურ, პატარა ბავშვებს, მოსწავლეებს, რაიმე ტიპის პასუხისმგებლობას. ვერც ხვდებიან ისინი — სვამენ კითხვებს- დედა, რას აპროტესტებენ, რატომ არ უნდა წავიდეთ სკოლებში და ა.შ. არიან გაურკვევლობაში, ჩვენ მათ ვაქცევთ მსხვერპლებად.

გარდა ამისა, ის რომ დემონსტრაციაზე წავიყვანოთ ბავშვი, გავიფიცოთ და აღარაფერი ვაკეთოთ — ეს არის დამანგრეველი. როდესაც ცოლ- ქმარს აქვს კონფლიქტი, ჩხუბობენ და ამ კონფლიქტში შემოჰყავთ ბავშვი, ის იჭყლიტება შუაში და მისი საშუალებით ცდილობენ, შური იძიონ ერთმანეთზე. ასეთ დროს, ჩვენ, ფსიქოთერაპევტები, ვაძლევთ რჩევას, რომ გავიყვანოთ ბავშვი ამ კონფლიქტიდან. ახლა კი, ვხედავ პროცესს, რომ ამ კონფლიქტურ სივრცეში შეჰყავთ მოსწავლეები, ბავშვები, განტევების ვაცი და მათ ვაკისრებთ პასუხისმგებლობას, რაც იწვევს ბავშვების ტრავმირებას. ამ არასრულწლოვნებს დასჭირდებათ დარჩენილი ცხოვრება თერაპიაში გაატარონ.“

მისი თქმით, ჩვენს საზოგადოებას აკლია დიალოგის კულტურა „ჩვენ უნდა ვყვიროდეთ, ვეჩხუბებოდეთ ერთმანეთს. თუკი არსებობს კონფლიქტი, უნდა არსებობდეს განტევების ვაცი.“

ადამიანებს დაკარგული აქვთ კონტექსტი — წავედი, დამინახეთ, ვარ აქ — ეს ნიშნავს, რომ არსებობს პრობლემები — ადამიანებს აკლიათ აღიარება, ისინი სულ რაღაცის მტიცების რეჟიმში არიან. ეს არის კოლექტიური აზროვნების ეფექტი — მე თუკი ვაიდენტიფიცირებ ჩემ თავს ვიღაცასთან, საზოგადოებასთან, პროფესიულ სამეგობრო სივრცესთან და იქ, თუ რაღაც გარკვეული აზრი წარმოიშვა, რომელსაც არ ვეთანხმები, მიჩნდება სირცხვილის, დანაშაულის გრძნობა. რატომ არ ვფიქრობ ასე... სწორედ ამ პროცესს ვუყურებთ ახლა, რაც დამანგრეველია. — განაცხადა დალი ლაშხიძემ.

# ოპოზიცია გაღმა გადის ჩაილურის წყლის დასალევად...



## რომელ სახალხო პარლამენტზე ლაპარაკობს ხაზარაძე?! თუკი იმ ხალხის შეყვანას აპირებს, ვისაც მანდატი მიანიჭა ცესკომ, გამოდის, რომ ხაზარაძე აღიარებს არჩევნებს!

**მამუკა ხაზარაძე სახალხო პარლამენტის დაფუძნებაზე ალაპარაკდა. ის მოითხოვს, სასწრაფოდ შეიკრიბოს არჩევნებში გამარჯვებული ოთხივე ოპოზიციური კოალიციის ყველა დეპუტატი და დააფუძნოს სახალხო პარლამენტი.**

დაახლოებით ეს იმის მსგავსია, მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ არსლანი კარვის დადგმას რომ აპირებდა ისანში და მოითხოვდა, თამარ მეფის სამეფო კარის გვერდით შექმნილიყო სამეფო ხელისუფლებისგან სრულიად დამოუკიდებელი დაწესებულება, მმართველობის სადავეები კი მის ხელში გადასულიყო. თამარ მეფეს მხოლოდ აღმასრულებელ უფლებებს უტოვებდა. თუმცა მოვლენები ყუთლუ არსლანის დასის სასარგებლოდ არ განვითარებულა, რადგან ეს სცენარი ხელისუფლების დანაწილებას ნიშნავდა.

დღესაც ხაზარაძე მსგავსი სცენარის ამოქმედებას ცდილობს და ამბობს, რომ სულ რამდენიმე ნაბიჯია დარჩენილი სრულ სამოქალაქო დაპირისპირებამდე და 90-იან წლებში დაბრუნებამდე. „ამის დაშვება არ შეიძლება, რადგან დავკარგავთ ქვეყანას და თაობებს, დავკარგავთ სახელმწიფოს, რომელიც საბოლოოდ ჩაბარდება რუსეთს“. ამიტომ ამ კატასტროფის ასაცილებლად ხაზარაძე სამპუნქტიან გეგმას სთავაზობს ოპოზიციურ კოალიციას. ამ გეგმის პირველი პუნქტის თანახმად, სასწრაფოდ უნდა შეიკრიბოს არჩევნებში გამარჯვებული ოთხივე ოპოზიციური კოალიციის ყველა დეპუტატი და დააფუძნოს სახალხო პარლამენტი, რომელშიც, ასევე მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამ ორგანომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, პირდაპირ ესაუბროს ევროკავშირს და წარმოადგინოს ქართველი ხალხის ნება და კონსტიტუციური მოთხოვნა საქართველოს ევროკავშირში გასაწევრიანებლად, ასევე მიავლინოს სპეციალური მისია ბრიუსელში ევროინტეგრაციის პროცესის აღსადგენად.

როგორ უნდა შეიქმნას ალტერნატიული პარლამენტი, როცა ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი უკვე არსებობს?! რა ანტიკონსტიტუციური თამაშის დაწყებას აპირებს ხაზარაძე?

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე** for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ სახალხო პარლამენტის შექმნას კონსტიტუციასთან არანაირი კავშირი არა აქვს, სამართლებრივად ამის გაკეთება წარმოუდგენელია. თვითონ სახელი – „სახალხო პარლამენტი“, ალბათ, იმისთვის დაარქვეს, რომ უფრო მიმზიდველი ყოფილიყო, თორემ ეს არის ჩვეულებრივი ადამიანების შეკრება, იმ ადამიანების, ვინც გავიდა პარლამენტში, ვისაც მანდატები აქვს.

**„რამდენად უფლებამოსილია ეს ეგრეთ წოდებული სახალხო პარლამენტი, რომ ევროკავშირთან მოლაპარაკებები აწარმოოს, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. რა თქმა უნდა, უფლებამოსილი ეს პარლამენტი არ იქნება, რომ ვინმესთან მოლაპარაკებები აწარმოოს, არანაირი უფლებამოსილება მათ არა აქვთ. თუმცა არც ის უნდა გამოვრიცხოთ, თუკი ეს ჯგუფი შეიკრიბება, მათთან მოლაპარაკებები შეიძლება დაიწყოს ზურაბიშვილის თამადობით, მაგრამ ვიმეორებ, ამას სამართლებრივი ფასი არ ექნება. ამ ჯგუფს არა მხოლოდ დეპუტატები, არამედ ენჯეოს წარმომადგენლებიც რომ დაამატონ, შეიძლება სახალხო პარლამენტი კი არა, უბრალოდ, კრება უწოდონ, ათასი სახელი შეიძლება უწოდონ, მაგრამ ეს შეკრება სამართლებრივ პასუხისმგებლობას და პარლამენტის ფუნქციებს საკუთარ თავზე ვერ აიღებს“,** – აღნიშნა ვახტანგ ძაბირაძემ.

მანვე განმარტა, რომ ხაზარაძის მომხრეებს რომც უნდოდეთ პარლამენტის დუბლირება, ეს ვერ გამოუვათ. სამართლებრივად თუ მივუდგებით, ამ ე.წ. სახალხო პარლამენტში ნახევარზე მეტი უნდა იყოს პარლამენტის წევრი, რომ პარლამენტის შეკრება დააანონსონ. სხვა შემთხვევაში, ამას არანაირი კონსტიტუციური ძალა არ ექნება. როგორც წესი, პარლამენტში ის ხალხი უნდა შევიდეს, ვინც ცესკომ აღიარა და მანდატი მიანიჭა. თუკი ხაზარაძე სახალხო პარლამენტში აპირებს იმ ხალხის შეყვანას, ვისაც მანდატი მიანიჭა ცესკომ, მაშინ გამოდის, რომ არაპირდაპირ ხაზარაძე აღიარებს ცესკოს მიერ ჩატარებულ არჩევნებს.

ვახტანგ ძაბირაძე არც იმას გამორიცხავს, დაემატოს ხაზარაძის ე. წ. სახალხო პარლამენტს საზოგადოების წარმომადგენლები და ჰქონდეთ მცდელობა, რომ თვითონ არიან ხალხის წარმომადგენლები, მაგრამ ოფიციალურად მათ არც შესაბამისი სტრუქტურები დაემორჩილებიან და არც სამართლებრივი საფუძველი არ ექნებათ.

**„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ წევრი, უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე აცხადებს, რომ ვერანაირი ალტერნატიული პარლამენტი ვერ შეიქმნება, ეს იქნება მორიგი კრახი ამ ოპოზიციისთვის.**

„ჯანსაღი ძალების დაბადება ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზაა. ნებისმიერ ხელისუფლებას სჭირდება ოპოზიცია და ჩვენ 12 წელია, ვართ იმ რეჟიმში, რომ ხელისუფლებას ოპოზიცია არ ჰყავს. ეს ადამიანები წარმოადგენენ არა ხელისუფლების ოპოზიციას, არამედ ქვეყნის დამანგრეველ ძალას. ამ ხალხს დაკვეთა აქვს ქვეყნის ჩამოშლაზე. ქვეყნის ჩამოშლა მარტივი თემა არ არის. ვინაიდან ქვეყნის ჩამოშლა ვერ მოხერხდა, ამ ოპოზიციამ ჩაილურის წყალი დალია. ახლა ახალი ოპოზიცია უნდა დაიბადოს, რომელიც შეასრულებს იმ როლს, რომელიც საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესებშია“, – აღნიშნა ნანა კაკაბაძემ.

**მანანა ნოზაძე**



# ეს პატარა ტალღები მალე ცუნამად იქცევა!..

**დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის ორმა მაღალჩინოსანმა უკვე დაიწყო იმაზე საუბარი, რომ გაუმჭვირვალე საგარეო დახმარებასთან დაკავშირებით ბევრი რამ არის გადასახედი და გამჭვირვალე უნდა გახდეს. განსაკუთრებით ეს განცხადება საინტერესო საქართველოს კონტექსტშია, სადაც ტრამპის ორმა მაღალჩინოსანმა განსაკუთრებული ყურადღება საქართველოს და სირიის დაფინანსებაზე გაამახვილა. ხელისუფლებისთვის ეს ზუსტად იმის მტკიცებულებაა, რომ 20 იანვრიდან ამერიკის პოლიტიკა რადიკალურად შეიცვლება და საქართველოში მოქმედი მავნებლური არასამთავრობოების დაფინანსების საკითხი მკაცრად გადაიხედება. მათი თქმით, ეს არის ზუსტად იმის მანიშნებელი, რომ ტრამპის ადმინისტრაციას არ ექნება პრობლემა „გამჭვირვალობის კანონთან“ დაკავშირებით, რადგან მის აუცილებლობაზე თავად საუბრობენ.**

**„ამერიკელები იმსახურებენ გამჭვირვალობას გაუმჭვირვალე საგარეო დახმარებასთან დაკავშირებით“,** – განაცხადა **ვივეკ რამასვამიმ**, რომელიც ტრამპის ადმინისტრაციაში ილონ მასკთან ერთად აშშ-ის სამთავრობო ეფექტიანობის ახალ დეპარტამენტს უხელმძღვანელებს.

რამასვამი ვიქტორია ნულანდის „დემოკრატიის ეროვნული ფონდის“ (NED) დირექტორთა საბჭოში დანიშვნას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ აშშ-ის მთავრობის მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება დეტალურად უნდა იყოს შემოწმებული.

რამასვამი სოციალურ ქსელში გამოეხმაურა შეტყობინებას, სადაც აღნიშნულია: **„ძნელია, არ დაინტერესდე, რა წვლილი შეიტანა ნულანდმა ბოლო დროს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში საქართველოსა და სირიაში“.**

**„ეს ოქსიმორონია, რომელიც წარმოადგენს გადასახადის გადამხდელთა ფულის ფლანგვას, მაგრამ რეალური პრობლემა უფრო ღრმაა: ამერიკელები იმსახურებენ გამჭვირვალობას გაუმჭვირვალე საგარეო დახმარებასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირებით, რომლებიც ხელს უწყობენ სასაზღვრო კრიზისს“,** - აღნიშნა ვივეკ რამასვამიმ.

ვივეკ რამასვამის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებას ილონ მასკი სოციალურ ქსელში გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ აბსოლუტურად ეთანხმება მის აზრს.

**„აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის გზავნილები თავიდან ბოლომდე არის სრულ თანხვედრაში ჩვენს გზავნილებთან, მათ შორის, იმ ორ კანონთან, რომლებიც ჩვენ მივიღეთ ამ პერიოდის განმავლობაში“,** – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ.**

გაგრძელება მე-8 გვ.

# შეჩერდით, სამშობლოს გამყიდველნო! რა რუსეთი, რა გაყალბება!..



**საკვირველი ოპოზიციონერთა მიერ მოპოვებული დეპუტატობის 61 მანდატია!.. ვინ მისცა ხმა ამ მოღალატეებს, ჯაშუშებს, სამშობლოს გამყიდველებს!**

**ხალხნო, გაოგნებული ვარ!.. რა ხდება დღეს საქართველოში, რა რუსეთიო, რა გაყალბებაო. რას ამბობენ ეს უგუნური ოპოზიციონერები. ოცდაათ წელზე მეტია, რაც საქართველო რუსეთს საბოლოოდ, უკანმოუხედავად დაშორდა! ახლა 2024 წელია. 26 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობამ ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცა!**

ასეც უნდა ყოფილიყო, ეჭვი არ გვეპარებოდა.

**საკვირველი ოპოზიციონერთა მიერ მოპოვებული დეპუტატობის 61 მანდატია!.. ვინ მისცა ხმა ამ მოღალატეებს, ჯაშუშებს, სამშობლოს გამყიდველებს,** საქართველოში რევოლუციისა და სახელმწიფო გადატრიალების სურვილით გამსჭვალულებს, ქვეყნის ასარევი მიზეზების გამუდმებით მაძიებლებს...

მაინც ვინ, რა ხალხმა აირჩია ისინი დეპუტატებად?! ვის სჭირდება მათი უაზრო ყაყანი პარლამენტში! განა არ გვეყო, რაც მათ, ამ თორმეტი წლის მანძილზე ალოგიკური მსჯელობით, წივილ-კივილითა და პარლამენტარისთვის შეურაცხმყოფელი ქმედებებით ხალხს ნერვები დაგვაწყვიტეს?

ნამდვილად არ მეგონა თუ კვლავ, პარლამენტში ამდენი რაოდენობით თავს მოიყრიდნენ!...

ახლა დეკემბრის თვეა, საკმაო დრო გავიდა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. ყველა პატიოსანმა და ავტორიტეტულმა არჩევნების შესაბამისმა ორგანიზაციამ დაუდასტურა „ოცნების“ პარტიას გამარჯვება, ცნეს ახალი მთავრობის ლეგიტიმაცია, მთავრობა უკვე საქვეყნო საქმეების ფერხულში უნდა იყოს ჩართული. საქართველო სამყაროს ერთი პატარა უჯრედია და როგორც პლანეტის, თუნდაც ერთი წამით შეჩერება გამოიწვევს დიდ ტრაგედიას, ასევე არ შეიძლება ქვეყნის მთავრობამ თავისი საწინაო ნაბიჯები შეაჩეროს!

არ შეიძლება, მაგრამ რადიკალებს ასე უნდათ, უნდათ ქვეყნის დამხობა და მერე თავად დასხდებიან სათავეში და „ააყვავებენ“ საქართველოს! რას ვუყურებთ, ხალხნო, ამ გიჟებისა და შეურაცხადების სამარცხვინო ქცევებს?

ჩვენ არა, ახალგაზრდები აბუნტდნენო! ასე მოახერხეს, ახალგაზრდები გამოიყვანეს, ისინი დაგვიპირისპირეს, მათ უფრო დაუჯერებენ ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსებიო, რადიკალებს ხომ სულ ევროპაზე აქვთ სწორება! და თუ სადმე უგუნური იყო, ყველას მოუყარეს თავი! ნუთუ ეს თავზეხელაღებული, უზრდელი ახალგაზრდები ქართულ ოჯახებში გაიზარდნენ? რა საწყენია, გული გაგვისკდეს ლამის! რა მანერებს გვიჩვენებენ, რა ბილწსიტყვაობას აფრქვევენ! ეს ქვასროლიები, ამტვრევენ და ცეცხლს უკიდებენ ქალაქის საამაყო პარლამენტის შენობას, ამტვრევენ ირგვლივ არსებულ ნივთებს, ინფრასტრუქტურას, ქვებს და მძიმე საგნებს ესვრიან პოლიციელებს.

განუწყვეტლივ ისვრიან პიროტექნიკას სამართალდამცველთა მიმართულებით, ასეულობით მათგანს მიაყენეს მძიმე ტრავმა. და აი, ესენი გამოდიან ქართული და ევროკავშირის დროშებით. იქვე დგანან ნაკლებად აგრესიული ადამიანები, ახალგაზრდები, სკოლის მოსწავლეებიც კი და არავის არ უკვირს როგორ ბედავენ ქართული დროშების ღირსების შელახვას, ქართული სულიერების ნაგავში ამოსვრას. საქართველოს გაუმარჯოსო!.

გაჰყვირიან... ქართველებო, ნუთუ ჩვენ ასეთი მომავლის საქართველო გვინდა?!

და მაინც, ვერ გავიგეთ, რა მიზეზებით აჯანყდნენ „ქვასროლიები“. ერთხანს წინ უძღოდათ ცნობილი „მედავითნენი“, ბრძენი რადიკალები. როგორც მათ ეოცნებებოდათ, ისე წაიკითხეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადება, სადაც წერია ის, რაც საღად მოაზროვნე ქართველ ხალხს, ჩვენს თანამემამულეთ უკვე კარგა ხანია აწუხებს: საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების საკითხსა და სურვილს თავად ევროკავშირი, სამწუხაროდ, მთავრობაზე, ქართველ ხალხზე ზეგავლენის, შანტაჟის მოსახდენად იყენებს და ეს რომ არ გაგრძელდეს, მხოლოდ 2028 წელს გააააქტიურებს ქართული მხარე ევროკავშირში გაწევრების შესახებ მოლაპარაკებებს. 2030 წლისთვის, პირობას დებს, რომ ყველა მიმართულებით მზად იქნება ქვეყანა ევროკავშირში შესასვლელად!

ასე გვეუბნება ეს განცხადება და მითხარით, ხალხნო, ჩვენი ქვეყნის სურვილის საწინააღმდეგო რამ არის აქ ნათქვამი? და მაინც, ზვავივით ააგორეს რადიკალებმა ავი სიყალბე, ყველაზე მოწყვლად ფენებში გაავრცელეს ჭორი და ისეთ ცუდ მოვლენებში გახვიეს საქართველო, ისეთი მტრობა დაატეხეს თავს, როგორიც არასოდეს, არც ერთ შინაურ მტერს არ გაუკეთებია! ახალგაზრდები გაიგდეს წინ, თავად კი, სადღაც მოფარებულიდან იჭვრიტებიან და ელიან მომენტს, ხელსაყრელ დროს ასპარეზზე გამოსასვლელად.

ევროპა-ამერიკიდანაც ხომ მხარდაჭერას ელიან. დიახ, ასეა, სამწუხაროდ! არც არაფერია გასაკვირი, სხვისი ხელის შემყურე ადამიანები ჯერაც ბევრი გვყავს. სულ დაივიწყეს 30 წლის წინ გულზე მჯიღების ცემით რომ გაჰყვიროდნენ, ოღონდ დამოუკიდებელი გახდეს საქართველო და ჩვენ – ხალხი ყოველგვარ გასაჭირს ავიტანთ, თუ საჭირო გახდა ბალახს შევჭამთ, ისე გავიტანთ თავს, მთავარია დამოუკიდებლობა და თავისუფლებაო. და რა მოხდა მერე? მოექცნენ უცხოელთა გრანტების გავლენის ქვეშ, გაუტკბათ დოლარები, დაკარგეს ღირსება. რომელ დამოუკიდებლობაზეა ლაპარაკი, როცა საკუთარი სამშობლოს შიდა პოლიტიკურ საკითხებზე მოსალაპარაკებლად, უფრო სწორად, მთავრობის დასასმენად, ხან ევროპელ პოლიტიკოსებთან, ხან სად და ხან სად გარბიან უთავმოყვარონი. საკუთარ მთავრობას რა ჩირქსა და ჭუჭყს არ სცხებენ, ხელს უშლიან საქართველოს წინსვლას ევროპის გზაზე. ევროკავშირში გაწევრება ახალი ბატონებისა და პატრონების ფრთებქვეშ შეყუჟვა ჰგონიათ, შრომას გადაჩვეულებს, სხვის ხარჯზე უზრუნველად მყოფთ. ახლა მათი სტრატეგია არ გაინტერესებთ? რადიკალების ტელეარხების ჟურნალისტები საზოგადოებრივ არხს მიუვარდნენ. წინა მთავრობის რეჟიმი მოენატრათ, იქედან უნდათ სიძულვილი აფრქვიონ, და საერთოდ, უნდათ, რომ ყველა არხზე მათი „სიმართლე“ ისმოდეს, ქართველი ხალხი, ბოლშევიკურად, ერთ აზრზე მოაქციონ.

ნუთუ ჩვენს უნივერსიტეტებში დაიზარდნენ ეს სამშობლოს გამყიდველები? საშინელი მოსასმენია მათი აქტივის განცხადებები. სირცხვილია ასეთი ჟურნალისტები ჰყავდეს ქვეყანას.

ყველაზე უფრო ამაზრზენია, როდესაც გაიძახიან – არჩევნები რუსულად გაყალბდაო...

ხალხნო, ესენი რომელ საუკუნეში არიან, რა რუსული, რა გაყალბება!



**გულნარა სტურუა,**
**პროფესორი.**

# მთავრობა საკუთარი წესით შერჩეულ NGO-ებს 20 მილიონი ლარით დააფინანსებს

**საქართველოს მთავრობა იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც მთავრობის მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებენ, 20 მილიონ ლარს გადაუხდის - ამის შესახებ „ქართული ოცნების“ მთავრობის მიერ მომზადებულ 2025 წლის ბიუჯეტის პროექტიდან ხდება ცნობილი.**

არასამთავრობო სექტორისთვის საბიუჯეტო დაფინანსების განსაზღვრის შესახებ ირაკლი კობახიძემ განცხადება პირველად 2024 წლის 9 სექტემბერს გააკეთა და თქვა, რომ ის გაერთიანებები, რომლებიც „ქართველი ხალხის ინტერესების შესაბამისად განსაზღვრულ ამოცანებს“ შეასრულებენ სახელმწიფოსგან დაფინანსებას მიიღებენ.

2025 წლის ბიუჯეტის თანახმად, პროექტის სახელწოდება იქნება „სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერა“, ხოლო თანხების განკარგვა მოხდება მთავრობის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად. ჯერჯერობით საქართველოს მთავრობას შესაბამისი წესი არ დაუდგენია. ამ წესით უნდა გაირკვეს თუ რა კრიტერიუმების საფუძველზე მოახდენს მთავრობა საგრანტო პროექტების დაფინანსებას და რომელი უწყებების წარმომადგენლებით დაკომპლექტდება შესარჩევი კომისია, რომელიც გრანტების დამტკიცებაზე იქნება პასუხისმგებელი.

**„საგრანტო პროექტები დაფინანსდება ქართველი ხალხის ინტერესების შესაბამისად განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად. ამ ამოცანებს შორისაა – დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, კორუფციასთან ბრძოლა, ჰიბრიდულ საფრთხეებთან დაპირისპირება, შშმ პირებზე ზრუნვა, გარემოს დაცვა, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებებისა და ინტერესების დაცვა და ა.შ. არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც კეთილ საქმეს აკეთებენ და ქართველი ხალხის ინტერესებს ემსახურებიან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთი ორად მეტ დაფინანსებას მიიღებენ, ვიდრე დღემდე უცხოელი დონორებისგან იღებდნენ,“** – 2024 წლის 9 სექტემბერს განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

უცნობია, რა შეიძლება იყოს „ქართველი ხალხის ინტერესების შესაბამისად განსაზღვრული ამოცანები“.

„ქართული ოცნების“ მთავრობის შეფასებით, მაგალითად პარტიული აქტივის დასაქმებისთვის ორგანიზაციების შექმნა ან არჩევნებზე დაკვირვებისთვის 2000 დამკვირვებლის ისე წარგზავნა, რომ არც ერთმა მათგანმა საარჩევნო შენიშვნა არ დაწეროს...

**შოთა ტყეშელაშვილი**

# ჰაკერთა საერთაშორისო დაჯგუფება Anonymous თბილისში საპროტესტო აქციებს ეხმაურება



**მსოფლიოს უდიდესი ჰაკერული დაჯგუფება Anonymous-ი თბილისში, რუსული კანონის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციას ეხმაურება და აცხადებს, რომ მშვიდობიან მომიტინგეებზე თავდასხმა საქართველოს ხელისუფლების ოფიციალურ პირებზე ინფორმაციის გამოაშკარავებას გამოიწვევს – ამის შესახებ ჯგუფი X (Twitter)-ის პლატფორმაზე წერს.**

**„საქართველოში აქციის მონაწილეებო, თქვენი თხოვნა შევისმინეთ. თქვენ მარტო არ ხართ, Anonymous-ის წევრები თქვენთან ერთად არიან და დაგეხმარებიან, დამოუკიდებლობისთვის, მშვიდობისა და კეთილდღეობისთვის ბრძოლაში!**

**ქართველო პოლიციელებო: აქციის მონაწილეებზე თავდასხმა გამოიწვევს თქვენი მთავრობის ოფიციალური პირების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. მოვიპოვებთ წვდომას თქვენს მონაცემთა ბაზებსა და ელექტრონულ ფოსტაზე და მასალებს ინტერნეტში განვათავსებთ. ეს არის თქვენი პირველი და უკანასკნელი გაფრთხილება.**

**რაც შეეხება „ოცნების პარტიას“, რომელსაც ზურგს რუსეთი უმაგრებს, დაიმახსოვრეთ, საქართველო არ არის რუსეთი და არც არასდროს იქნება!**

**დაგველოდეთ“**, – წერს **Anonymous**.

ჰაკერული დაჯგუფება **Anonymous** რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან აქტიურად მონაწილეობდა რუსულ ციფრულ ბაზებზე თავდასხმაში, მათვე გათიშეს რუსეთის სახელმწიფო ნავთობკორპორაცია „გაზპრომის“ ვებგვერდი და **Russia Today.**

**Anonymous** სრულად დეცენტრალიზებულია და მსოფლიოს მასშტაბით ათასობით ჰაკერს, აქტივისტსა და ჟურნალისტს აერთიანებს.



# ერის მემატიანე

## აკადემიკოსი როინ მეტრეველი — 85

**გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი როინ მეტრეველი 85 წლისაა.**

მრავალმხრივი და უაღრესად ნაყოფიერია მისი ცხოვრების გზა.

დაიბადა 1939 წლის 7 დეკემბერს ადიგენის რაიონის დაბა აბასთუმანში, მოსამსახურის ოჯახში.

1957 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ქუთაისის IV საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაასრულა 1962 წელს. სტუდენტობის პერიოდში გამოაქვეყნა 10-ზე მეტი სამეცნიერო გამოკვლევა, მათ შორის მონოგრაფია „ექვთიმე თაყაიშვილი" (შ.ბადრიძესთან თანაავტორობით). 1965 წელს რ. მეტრეველმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სახელმწიფოებრივი რეფორმები XII ს-ის პირველი მეოთხედის საქართველოში". იმავე წლიდან იგი ლექციებს კითხულობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1969 წელს საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტად აირჩიეს.

აღნიშნულ პერიოდში სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად რ. მეტრეველი აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობასაც ეწეოდა. 1960-72 წლებში ეკავა მაღალი კომკავშირული და პარტიული თანამდებობები. 1972 წელს დაინიშნა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის მოადგილედ. მისი დიდი ძალისხმევით 1975-87 წლებში წარმატებით დაგვირგვინდა „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" თორმეტტომეულის გამოცემის უაღრესად მამულიშვილური საქმე. 1974 წელს რ. მეტრეველმა წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე:" შიდაკლასობრივი ბრძოლა შუა საუკუნეების საქართველოში". 1986 – 1989 წლებში იყო თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი. 1988 წლის 1 ნოემბრიდან ასრულებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობას. 1990 წლიდან რედაქტორობს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეს" ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერიას.

რ. მეტრეველი მონაწილეა თანამედროვე საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი მოვლენის – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის გამოცხადებისა 1991 წ. 9. აპრილს. ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტზე მისი, როგორც უზენაესი საბჭოს წევრის, ხელმოწერაცაა.

1991 წლის 14 ოქტომბერს რ. მეტრეველი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა. 1992 წელს მისი თაოსნობით უნივერსიტეტმა ავტონომიური უმაღლესი სასწავლებლის ჯერ კიდევ 1926 წ. დაკარგული სტატუსი აღიდგინა. 1992 წლის 18 აპრილს უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ რ. მეტრეველი რექტორად აირჩია. მისი რექტორობის პერიოდში ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა უნივერსიტეტში: აღდგა სამედიცინო ფაკულტეტი, რომელსაც ემსახურებოდა რვა კათედრა და საუნივერსიტეტო კლინიკების ასოციაცია; 1994 წლის 25 აპრილს უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ მიიღო „საუნივერსიტეტო განათლების კონცეფცია", რომლის მიხედვით უნივერსიტეტი სრულად გადავიდა სწავლების ორსაფეხურიან სისტემაზე (ბაკალავრიატი და მაგისტრატურა); შეიქმნა ათამდე სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია და სამეცნიერო ცენტრი, ჩამოყალიბდა ახალი კათედრები, გაიზარდა სპეციალობების რაოდენობა. უნივერსიტეტს ჰქონდა რვა ფილიალი, ორი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ორმოცდაცხრამეტი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, ათი სამეცნიერო ცენტრი; სასწავლო პროცესს ემსახურებოდა ასოცზე მეტი ლაბორატორია. იმავე ხანებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა საგარეო კავშირები უცხოეთის უნივერსიტეტებთან თუ სამეცნიერო ცენტრებთან.

1992 წელს რ. მეტრეველის ხელმძღვანელობით უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრასთან დაარსდა ქართული დიპლომატიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, რომელიც 1996 წლიდან ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრად გადაკეთდა. მისი რედაქტორობით 1994 წლიდან სისტემატურად გამოიცემა ცენტრის წელიწდეული – „ქართული დიპლომატია". ცეტრმა რ. მეტრეველის ხემძღვანელობით საფუძველი ჩაუყარა დიპლომატიის ისტორიის მიმართულებას.

საქართველოს ისტორიის კათედრამ და ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა, რ. მეტრეველის ხელმძღვანელობით, გამოსცა „ივანე ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი". ეს არის პერსონალური ენციკლოპედიის გამოცემის პირველი ცდა საქართველოში. საქართველოს ისტორიის კათედრის თანამშრომლებმა გამოსცეს კრებულები: „საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები" (რედაქტორი რ. მეტრეველი) და „საქართველოს მეფეები" (რედაქტორები: მ.ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი).

სხვადასხვა დროს იყო საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, ევრაზიის უნივერსიტეტების ანსამბლეის გენერალური კომიტეტის წევრი. მისი ძალისხმევით თბილისის უნივერსიტეტი 1999 წლიდან ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციაში გაერთიანდა.

1994-1995 წწ. რ. მეტრეველის თაოსნობითა და ხელმძღვანელობით უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში აშენდა წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარი, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II -მ აკურთხა.

უნივერსიტეტის შემდეგ რ. მეტრეველი მოღვაწეობას განაგრძობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, რომლის ნამდვილი წევრი გახლავთ 1993 წლიდან. 2007 წ. აირჩიეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნად, 2013-2023 წლებში ორჯერ იყო არჩეული ვიცე-პრეზიდენტად, 2023 წლიდან აკადემიის პრეზიდენტია. ამავე დროს ხელმძღვანელობს აკადემიასთან არსებულ საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიას და საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნულ კომიტეტს.

რ. მეტრეველი 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორის მონოგრაფიებისა:

**„დავით აღმაშენებელი. სახელმწიფოებრივი რეფორმები XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში" (1965),** რომელიც დავით აღმაშენებლის მრავალმხრივი და მეტად საინტერესო მოღვაწეობის სხვადასხვა მხარეს შეეხება. კერძოდ, განხილულია ის რეფორმები, რომლებიც გატარდა ეკონომიკურ, სამხედრო, საეკლესიო და სამართლის დარგებში; **„ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან" (1972),** სადაც დასმული და ახლებურად არის განხილული XI-XII საუკუნეთა საქართველოს ისტორიის აქტუალური საკითხები. **„ივანე ჯავახიშვილი და ქართული კულტურის ზოგიერთი საკითხი" (1975).** ნაშრომში გადმოცემულია გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ზოგიერთი მხარეები. სხვადასხვა არქივებში დაცული დოკუმენტური მასალის, აგრეთვე მეცნიერის შემოქმედების შესახებ არსებული ლიტერატურისა და თანამედროვეთა მოგონებების გამოყენების საფუძველზე ავტორი იძლევა ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის დახასიათებას მის საქმიანობას კულტურის ფრონტზე, ამასთან, მოგვითხრობს მეცნიერის ურთიერთობათა შესახებ თავისი დროის გამოჩენილ თანამედროვეებთან. **„დეკლასირებული ელემენტები შუა საუკუნეების საქართველოში (V-XII): გლახაკები", (1976).** ნაშრომში განხილულია ფეოდალური საზოგადოების მნიშვნელოვანი ფენის – გლახაკების პრობლემა შუა საუკუნეების (V-XII სს. საქართველოში. გამოკვლეულია გლახაკობასთან დაკავშირებული საკითხები: ტერმინ „გლახაკის" ეტიმოლოგია, მისი დამოკიდებულება ტერმინ „გლეხთან", გლახაკობის (გაგლახაკების), წყაროები გლახაკთა კატეგორიები, სახელმწიფოს მიერ გატარებული საქველმოქმედო ღონისძიებები. საგანგებოდაა მიმოხილული გლახაკობის პრობლემა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში; **„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება", (1982).** წიგნში შესწავლილია მეოცე საუკუნის გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით დაარსებული საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოღვაწეობის ძირითადი ასპექტები; **„დავით IV აღმაშენებელი: ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის მიმოხილვა", (1986).** წიგნში სხვადასხვაენოვანი წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური, ეპიგრაფიკული და ნუმიზმატიკური მასალის საფუძველზე, საკითხის კვლევაში ჩვენი ისტორიოგრაფიის მიღწევების გათვალისწინებით, მოცემულია დავით IV აღმაშენებლის მოღვაწეობის შეძლებისდაგვარად სრული სურათის წარმოდგენის ცდა. ნაშრომში შესულია აგრეთვე ავტორის მიერ ადრე გამოქვეყნებული ზოგიერთი ნარკვევი დავით IV აღმაშენებლის შესახებ; **„და მოვიდეს ვარანგნი..." (1988).** კრებულში თავმოყრილია ნარკვევები, რომლებშიც გაშუქებულია საქართველოს ისტორიის მრავალი საინტერესო საკითხი, წარმოჩენილია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თავდადებული სწრაფვა ქართული კულტურისა და მეცნიერების წინსვლისათვის; **„მეფე თამარი. ეპოქის პოლიტიკურ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა (1991).** წიგნში სხვადასხვაგვარი წყაროების (სხვადასხვაენოვანი წერილობითი, არქეოლოგიური, ეპიგრაფიკული და ნუმიზმატიკური) საფუძველზე, ჩვენი ისტორიოგრაფიის თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით, მოცემულია მეფე თამარის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაბმული ისტორიის წარმოჩენის ცდა; **„ისტორიზმი ქართველი მწერლების შემოქმედებაში" (1999).** წიგნში შესულია ნარკვევები ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილისა და კონსტანტინე გამსახურდიას შეხედულებების შესახებ ისტორიაზე. მათი დამოკიდებულება წარსულთან, ნაჩვენებია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ისტორიზმს ამ დიდი მწერლების შემოქმედებაში; **„მეფეთ მეფე გიორგი II"** (2003, თანაავტორი ჯაბა სამუშია). წიგნში, XI საუკუნის 70-80-იანი წლების პოლიტიკური მოვლენების ფონზე, გადმოცემულია მეფე გიორგი II-ის ცხოვრება და მოღვაწეობა; **„ექვთიმე ღვთისკაცი" (2013),** წიგნში გაეცნობით მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებას; **„საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია შუა საუკუნეებში. IV-XVIII სს."** (2023, თანაავტორი ვახტანგ გურული).

რ. მეტრეველის სამეცნიერო მოღვაწეობაში დიდი ადგილი უკავია ქართული ისტორიოგრაფიის პრობლემებს. იგი ავტორია წერილებისა თუ მონოგრაფიებისა ვახუშტი ბაგრატიონზე,

ივ. ჯავახიშვილზე, ექ. თაყაიშვილზე, მ. საბინინზე, ნ. ბერძენიშვილზე, შ. მესხიაზე, დ. გვრიტიშვილზე, გ. მელიქიშვილზე, ო. ჯაფარიძეზე, მ. ლორთქიფანიძეზე, ზ. ანჩაბაძესა და სხვა გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსებზე.

რ. მეტრეველის თაოსნობით, თანავტორობითა თუ რედაქტორობით მომზადდა და გამოქვეყნდა არაერთი უაღრესად მნიშვნელოვანი, კულტურულ-ისტორიული ღირებულების გამოცემა, მათ შორის, აღსანიშნავია: „ივანე ჯავახიშვილი. ენციკლოპედიური ლექსიკონი“ (2002), სადაც ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითად შტრიხებთან ერთად მოცემულია დიდი მეცნიერის შესახებ არსებული მასალა – მისი ცხოვრება, საქმიანობა-მოღვაწეობა, გენეალოგია, ცნობები მშობლებისა და ახლობელ-მეგობართა შესახებ, ივ. ჯავახიშვილთან დაკავშირებული გეოგრაფიული პუნქტები, მემორიალები, შრომები, წარმოჩენილია მისი წვლილი მეცნიერების ცალკეული დარგების განვითარებაში; ქართული დიპლომატიური ლექსიკონი, ტ. 1, 1997 „ლექსიკონში“ ტერმინებადაა წარმოდგენილი ქართული დიპლომატიური ისტორიისა და პრაქტიკის საკითხები. საქართველოს ტრადიციები. ქართული მასალის გარდა, უხვად აშუქებს უნივერსალურ (საერთაშორისო) მოვლენებს. განმარტავს დიპლომატიურ ტერმინებს; „ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები“ ორ ტომად, ნაწ. 1, 1998. ნაშრომის მიზანია გააშუქოს ქართული დიპლომატიის ისტორიის ძირითადი საკითხები უძველესი დროიდან უკანასკნელ პერიოდამდე; ქართული დიპლომატიის ისტორია (ქრესტომათია), (2004) ქრესტომათიაში შესულია საქართველოს დიპლომატიის ისტორიის შესახებ არსებული ქართული თუ უცხოენოვანი დოკუმენტები. მასში შეტანილია როგორც საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობის, ასევე დიპლომატიური მოლაპარაკებების, ხელშეკრულებების დიპლომატიური ეტიკეტის მასალა; მისი ხელმძღვანელობით შემოქმედებითი ჯგუფის მიერ მომზადდა და გამოქვეყნდა (2008) ძველი „ქართლის ცხოვრება“, რომელმაც შეაჯამა კრებულის ტექსტოლოგიური და წყაროთმცოდნეობითი შესწავლის გარკვეული ეტაპი და, ამასთანავე, სათავე დაუდო მისი შემდგომი კვლევის ახალ შესაძლებლობებს. მისივე რედაქტორობით დაიბეჭდა ძეგლის უცხოენოვანი თარგმანები; გამოჩენილი მკვლევრისა და ეროვნული კულტურის დიდი მოამაგის ექვთიმე თაყაიშვილის თხზულებათა თორმეტი ტომი, სადაც თავი მოეყარა სხვადასხვა გამოცემებში გაბნეულ ნაშრომებს, რითაც, შეიძლება ითქვას, ახალი სიცოცხლე შეიძინა დიდი წინაპრის მემკვიდრეობამ; „კავკასიის ისტორია“ ორ ტომად (2023). ნაშრომში წარმოჩენილია ის დიდი გზა, რომელიც კავკასიის ქვეყნებმა და ხალხებმა გაიარეს – ადრინდელი, პროტოფეოდალური, ფეოდალური შუღლისა და დაქუცმაცების ხანა, უცხოელთა ბატონობა, ცარიზმის კოლონიური ჩაგვრისა და საბჭოთა იმპერიის სირთულეები. კავკასიის ქვეყნების ტრადიციები, პოლიტიკური ვითარება და დიპლომატიური ურთიერთობები; ეროვნული, რელიგიური, სოციალური თუ კულტურული სიჭრელე და სწრაფვა შიდა კავკასიური მშვიდობის მოგვარებისათვის. გამოკვლევაში არის მცდელობა დასაბუთებისა, რომ კავკასიის ხალხის მშვიდობიანი თანაარსებობის, ინტეგრაციის საფუძველია კავკასიური ცივილიზაცია, რომელიც ეყრდნობა ერთიან ისტორიულ წარსულში ჩამოყალიბებულ საერთო ღირებულებებს.

რ. მეტრეველი სისტემატურად მონაწილეობს ისტორიკოსთა მსოფლიო კონგრესებში, სიმპოზიუმებსა და სხვა სახის სამეცნიერო ღონისძიებებში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით გაიმართა მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი, მათ შორის, ოთხი საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი.

რ. მეტრეველი არის ქალაქების – თბილისისა და ქუთაისის საპატიო მოქალაქე, არაერთი უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო გაერთიანების წევრი. რ. მეტრეველი სისტემატურად მონაწილეობს ისტორიკოსთა მსოფლიო კონგრესებში, სიმპოზიუმებსა და სხვა სახის სამეცნიერო ღონისძიებებში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით გაიმართა მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი, მათ შორის ოთხი საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი.

რ. მეტრეველის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სხვადასხვა დროს აღნიშნულია სახელმწიფო ჯილდოებითა და პრემიებით, მათ შორის შრომის წითელი დროშის, საპატიო ნიშნის, ღირსების ორდენებით, ფრიტოფ ნანსენის საპატიო მედლით, საქართველოს საპატრიარქოს ოქროს ჯვრით, საპატრიარქოს უმაღლესი ჯილდოთი – წმინდა გიორგის ოქროს ორდენით. ახლახან დაჯილდოვდა დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიითა და ოქროს მედლით და სხვა; მიღებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერების დარგში, ივანე ჯავახიშვილისა და აკაკი წერეთლის სახელობის პრემიები, მინიჭებული აქვს აფხაზეთის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

**აკად. რ. მეტრეველი ჩვეული ენერგიითა და შემართებით იღვწის სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია გულითადად ულოცავს ღვაწლმოსილ მეცნიერსა და მამულიშვილს სახელოვან იუბილეს და უსურვებს, რომ კვლავ დიდხანს ემოღვაწოს მეცნიერებისა და ეროვნული ინტერესების სამსახურში.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

# დაჯილდოება

საქართველოს მწერალთა კავშირმა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი ქართულ მეცნიერებასა და ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დაბადების 85 წელთან დაკავშირებით დააჯილდოვა დავით აღმაშენებლის პრემიითა და ოქროს მედლით.

**საქართველოს მწერალთა კავშირი**

# გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოების მილოცვა

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს როინ მეტრეველს საიუბილეო 85 წლისთავის გამო

**ბატონო როინ,**

გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოების სახელით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარეს, ქართველ ისტორიკოსთა პატრიარქსა და თავკაცს, გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს – დაბადებიდან 85 წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობასა და დიდ შემოქმედებით გამარჯვებებს!

გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოების დაფუძნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თქვენი რექტორობის პერიოდში განხორციელდა. ჩვენი საზოგადოების წევრებს კარგად ახსოვთ ის დიდი ყურადღება, მხარდაჭერა და გულისხმიერება, რაც თქვენ, ამ ახლად დაფუძნებული სამეცნიერო ორგანიზაციის მიმართ გამოიჩინეთ. სწორედ ამიტომ, საზოგადოებამ თქვენ თავის საპატიო წევრად აგირჩიათ.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის რანგში დღენიადაგ ზრუნავთ ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის გაზრდაზე და ქართული სახელმწიფოს სამსახურში მის ჩაყენებაზე.

საყოველთაოდ, მათ შორის საერთაშორისო დონეზეც, აღიარებულია თქვენი სამეცნიერო მოღვაწეობა.

თქვენს კალამს ეკუთვნის 250-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. თქვენ დიდი რუდენებით იკვლევთ საქართველოსა და კავკასიის, შუა საუკუნეების ისტორიის, წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის, სოციალური პროცესების, ქართული კულტურის, და საზოგადოებრივი აზრისა და დიპლომატიის ისტორიის საკითხებს.

გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოებამ საერთაშორისო არენაზე ქართული მეცნიერების კიდევ ერთ გამარჯვებად აღვიქვით მიმდინარე წლის ზაფხულში თქვენი არჩევა საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიაში.

თქვენ დიდი წვლილი შეიტანეთ საქართველოს ,,ოქროს ხანის“ ისტორიის შესწავლაში, ჩვენი დიდი და სახელოვანი მეფეების დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის თანამემამულეთა წინაშე წარმოჩენაში, რითაც თქვენი წონადი სიტყვა თქვით ქართულ ისტორიოგრაფიაში.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ თქვენი დამსახურება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე. თქვენ შეძელით და უნივერსიტეტი ღირსეულად გამოატარეთ იმ ურთულეს 90-იან წლებში. მიუხედავად მაშინდელი მძიმე მდგომარეობისა, უნივერსიტეტში ერთი დღეც არ ჩავარდნილა სასწავლო პროცესი. სწორედ თქვენი დიდი ძალისხმევით აღიდგინა დედაუნივერსიტეტმა თავისი თავდაპირველი ავტონომია. ასევე, თქვენი ხელშეწყობითა და უშუალო მონაწილეობით ჩაერთო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბოლონიის პროცესში.

დიდ ქართველ პოეტთან და საზოგადო მოღვაწესთან ირაკლი აბაშიძესთან ერთად ფასდაუდებელია თქვენი წვლილი ქართული ენციკლოპედიის გამოცემის საქმეში. იმ რთულ პერიოდში თქვენ შეუძლებელი შეძელით და ქართველ ხალხს მისი დიდი კულტურისა და ისტორიის დამადასტურებელი პასპორტი - ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის 12 ტომი უძღვენით.

ფრიად მნიშვნელოვანია თქვენი პედგოგიური მოღვაწეობა. წლების განმავლობაში დიდ ცოდნასა და სამეცნიერო გამოცდილებას უშურველად უზიარებთ თქვენს სტუდენტებს.

მისაბაძია თქვენი მოკრძალებული და სათუთი დამოკიდებულება მასწავლებლების მიმართ. ამის დასტურია, დიდი სითბოთი დაწერილი წიგნი, რომელიც თქვენს მასწავლებელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ შოთა მესხიას მიუძღვენით.

თქვენ დღენიადაგ ეწევით ქართული მეცნიერების პროპაგანდას საერთაშორისო არენაზე. არაერთ დიდ საერთაშორისო ფორუმზე, ისტორიკოსთა მსოფლიო კონგრესებზე თუ კონფერენციებზე, ღირსეულად წარმოაჩენთ ქართულ საისტორიო მეცნიერებას.

მისასალმებელია თქვენი დიდი ძალისხმევა, რათა ქართულ მეცნიერებაში მოვიდეს ღირსეული ახალი თაობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავი და სამაგალითოა თქვენი საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ როინ მეტრეველისთვის ყოველთვის და ყველგან მთავარი საზრუნავი და საფიქრალი საქართველო და ქართველი ხალხის კეთილდღეობა იყო. რომელ პოსტზე და უბანზეც არ უნდა გემუშავათ და გეღვაწათ, ყველგან დიდი ერთგულებით ემსახურებოდით თქვენს ქვეყანასა და ხალხს.

ღვაწლმოსილ მეცნიერს, ქვეყნის წინაშე ვალმოხდილ მამულიშვილსა და ღირსეულ კაცს წრფელი გულით გილოცავთ დაბადების 85 წლისთავს და ქართული მეცნიერების საკეთილდღეოდ დღეგრძელობას გისურვებთ!

გრიგოლ ლორთქიფანიძის
საზოგადოების სახელით,
საზოგადოების პრეზიდენტი
**პაატა სურგულაძე**
05.12.2024



# ეს პატარა ტალღები მალე ცუნამად იქცევა!

მეოთხე გვერდიდან

პრემიერის თქმით, ეს ამყარებს მმართველი გუნდის რწმენას, რომ 20 იანვრის შემდეგ ამერიკული ადმინისტრაციის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ თვისებრივად შეიცვლება.

**„აშშ-ის ჯერ კიდევ მოქმედი ადმინისტრაცია ჩვენთან ყველაზე მეტად უპირისპირდებოდა ორ კანონს, ეს იყო გამჭვირვალობის შესახებ კანონი და ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ კანონი. დღეს ახალმა ადმინისტრაციამ უკვე დააანონსა, რომ თავად მიიღებენ ანალოგიურ კანონს ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ, მსგავსი შინაარსი აქვს ამ კანონს. რაც შეეხება გამჭვირვალობის შესახებ კანონს, ახალი ადმინისტრაცია თავად საუბრობს იმ პრობლემებზე, რომლებიც დაკავშირებულია უცხოური დაფინანსების გაუმჭვირვალობასთან. ახალი ადმინისტრაციის გზავნილები თავიდან ბოლომდე არის სრულ თანხვედრაში ჩვენს გზავნილებთან, მათ შორის, იმ ორ კანონთან, რომლებიც ჩვენ მივიღეთ ამ პერიოდის განმავლობაში. ეს ამყარებს ჩვენს რწმენას იმასთან დაკავშირებით, რომ 20 იანვრის შემდეგ ამერიკული ადმინისტრაციის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ თვისებრივად შეიცვლება.**

**ჩვენ გვაქვს ღირებულებითი თანხვედრა და იმედი მაქვს, ეს ღირებულებითი თანხვედრა, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს ქართულ-ამერიკული ურთიერთობების სრულად გადატვირთვას. ტრამპის პრეზიდენტობის პირობებში, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამის ძალიან დიდი პერსპექტივა არსებობს. ჩვენ ვართ აბსოლუტურად მოწადინებული, რომ გადაიტვირთოს ურთიერთობები. სამწუხაროდ, ეს წინა წლების განმავლობაში იყო შეუძლებელი, პირიქით, ყველაფერი კეთდებოდა, რათა ურთიერთობები გაუარესებულიყო. ახლა ვფიქრობთ, რომ არის პოტენციალი ურთიერთობების გადატვირთვისთვის“**, – განაცხადა პრემიერმა.

**უმრავლესობის წევრის გურამ მაჭარაშვილის** განცხადებით, ტრამპის ადმინისტრაციის ორი დეპარტამენტის მომავალი ხელმძღვანელების



ვიქტორია ნულანდი

განცხადება უცხოური ძალებისთვის ცელის გამოსმის ტოლფასია, როგორც უცხოეთში, ასევე საქართველოში.

მაჭარაშვილის განმარტებით, ეს სიტყვები ტრამპის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს რომ არ ეკუთვნოდეთ, საქართველოს ხელისუფლებას დააბრალებდნენ.

**„თუ ვინმეს კიდევ ჰქონდა კითხვის ნიშნები იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ მივიღეთ გამჭვირვალობის კანონი და ეს იყო აუცილებელი – წაიკითხოს ტრამპის ადმინისტრაციის დეპარტამენტის მომავალი ხელმძღვანელის განცხადება. ეფექტურობის დეპარტამენტის მომავალი ხელმძღვანელი ტრამპის ადმინისტრაციაში პირდაპირ ამბობს, რომ ძნელია არ დაინტერესდე ამერიკის მთავრობის მიერ გადარიცხული თანხებით არასამთავრობო ორგანიზაციებში, რადგან ამერიკელი ხალხი იმსახურებს გამჭვირვალობას, თუ სად წავიდა ეს თანხები. ამას დაეთანხმა ტრამპის ადმინისტრაციის მეორე დეპარტამენტის მომავალი ხელმძღვანელი ილონ მასკი და მან ასევე დაადასტურა, რომ ამერიკელი ხალხისთვის გამჭვირვალობა აუცილებელია“.**

**ანალიტიკოსი პეტრე მამრაძე** for.ge-სთან ამბობს, რომ ტრამპის ადმინისტრაციიდან მსგავსი განცხადება მოსალოდნელი იყო, რადგან ტრამპს ამაზე საარჩევნო კამპანიის დროს არაერთხელ უსაუბრია. მამრაძე აცხადებს, რომ ეს არის არა მხოლოდ ამერიკელების გადამხდელების უაზროდ ფულის გადაყრა, არამედ კონპროდუქტიულია.

**„ამ ენჯეოების დაფინანსების მიზანს უკვე ამერიკელები ვეღარ ხედავენ, რადგან იმის მაგივრად, რომ ამით ამერიკის მხარდაჭერა გაძლიერდეს, პირიქით, ეს ენჯეოები საზოგადოებაში ანტიამერიკულ განწყობებს აღვივებენ. ამიტომ ამერიკელებმა დაინახეს, რომ საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით არასწორად ხდება მათი ფულის გახარჯვა, რადგან ეს ყველაფერი პირიქით მუშაობს. ამიტომ მათ უკვე დაიწყეს იმაზე საუბარი, რომ ამერიკის იმიჯის დაცვა და აღდგენა უნდა მოხდეს. როდესაც გადის დრო და აღმოაჩენს, რომ თურმე მთელს ავღანეთს ურჩევნია იქ თალიბები დარჩეს, ვიდრე ამერიკული კონტიგენტი, ხვდები, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ამერიკელების ფული წყალში გადაგიყრია. ასევე ხდება საქართველოსთან მიმართებაშიც.**

**იმის მაგივრად, რომ საქართველოსთან ურთიერთობის გაღრმავება მომხდარიყო, პირიქით, საზოგადოებაში გაჩნდა პროტესტი, რომ ამერიკის ელჩი და ბაიდენის ადმინისტრაცია პირდაპირ ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში ერეოდა. უფრო მეტიც, ხელისუფლებას კარნახობდნენ რა და როგორ უნდა გაეკეთებინათ. ამის პირდაპირი მტკიცებულება კი ამერიკის ელჩის კელი დეგნანის ქმედებებია. გვახსოვს ეს ქალბატონი თავიდან ტრამპის დროს დაინიშნა. მისი განცხადებები და დამოკიდებულებაც გვახსოვს ამ დროს ოპოზიციის მიმართ. თუმცა, როგორც კი ბაიდენი მოვიდა ხელისუფლებაში, მისი განცხადებები რადიკალურად შეიცვალა და პირდაპირ ქვეყნის შიდა საქმეში ჩარევა დაიწყო“**, – ამბობს მამრაძე.

მისივე თქმით, უკვე არავისთვის აღარ არის დასამალი, რომ სწორედ ქალბატონი ვიქტორია ნულანდის დამსახურებით მოხდა 2014 წელს უკარინის მაიდანი. ნულანდი იყო ის პოლიტიკური ფიგურა, რომელიც აქციაზე „პერაშკებს“ არიგებდა. ასევე ის იყო უშუალო ინიციატორი იმის, რომ კელი დეგნანი მისულიყო ბიძინა ივანიშვილთან და საქართველოს უკრაინის ომში ჩართვა მოეთხოვა.

**„ნულანდის მიმართ გაჩნდა ძალიან ბევრი კითხვები უკვე ტრამპის ადმინისტრაციის მხრიდან და სწორედ ეს ის ქალბატონია, რომელიც მიხეილ სააკაშვილის მეგობარია. ერთ-ერთმა ჩვენმა ელჩმა მითხრა, როგორ გამოუცხადა მას ამ ქალბატონმა, რომ სააკაშვილი მისი ახლო მეგობარი იყო და მასთან დაკავშირებულ პრეტენზიებს არ მიიღებდა.**

**გამოდის, რომ მაშინ ამერიკის ადმინისტრაციამ ყველაფერი სააკაშვილის რეჟიმის შესახებ ზედმიწევნით იცოდა, მიუხედავად ამისა, არც სანქციებზე იყო საუბარი და არც სტრატეგიული პარტნიორობის გაუქმებაზე. ამიტომ ჯერ სად არის, ტრამპის ადმინისტრაციიდან დაწყებული ეს პატარა ტალღები მალე ცუნამად იქცევა და ყველას მოსთხოვენ პასუხს ამერიკის საგარეო პოლიტიკის კრახისთვის. უკვე მშვენივრად ხედავენ საქართველოშიც რაც ხდება, აკეთებენ ანალიზს და არავის არ უნდა ჩვენი ქვეყნის დაკარგვა. ასევე საუბარი იმაზე, რომ ამ მავნებელი ენჯეოების დაფინანსება დიპლომატიური ხაზებით „ქეში“ ფულით ხდება. სწორედ ამას ვადევნებთ თვალს რუსთაველის გამზირზე. ამიტომ ახლა ყველა მოსწრებაზეა, მაგრამ არაფერი გამოუვათ. მალე ბევრი რამ დღის შუქზე გამოვა“**, – ამბობს მამრაძე.

**ლიკა ბერიკაშვილი**

## უცხოური აგენტების შესახებ კანონი სერბეთის პარლამენტში

**„სერბეთის სოციალისტური მოძრაობის“ დეპუტატებმა, რომლებსაც ვიცე-პრემიერი ალექსანდრ ვულინი ხელმძღვანელობს, უცხოური აგენტების შესახებ კანონპროექტი პარლამენტში შეიტანეს. ინფორმაციას ამის შესახებ „კომერსანტი“ ავრცელებს.**



კანონპროექტი „უცხოურ აგენტებად“ აცხადებს არაკომერციულ ორგანიზაციებსა და გაერთიანებებს, რომელთა ბიუჯეტის 50% საზღვარგარეთიდან მიღებული თანხებით ფინანსდება. კანონპროექტის მიხედვით, უცხოური წყაროებიდან დაფინანსების მიმღებ ორგანიზაციებსა და პოლიტიკოსებს „უცხოური აგენტის“ სტატუსით რეგისტრაცია და ყველა მათ მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში ამ სტატუსის მითითება მოუწევთ.

საკანონმდებლო ინიციატივის მიხედვით, იმ პირებს, ვინც კანონს დაარღვევენ, გარკვეული საქმიანობა აეკრძალებათ, ასევე დაეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ან ჯარიმა 5000-დან (42 ევრო) 2 მილიონ დინარამდე (17 000 ევრო). პროექტის მიხედვით, „უცხოური აგენტების“ რეესტრს იუსტიციის სამინისტრო მართავს. მას ასევე აქვს უფლებამოსილება, შესაბამისი კანონდარღვევისთვის შეუჩეროს საქმიანობა იმ ორგანიზაციებს, რომლებიც რეგისტრაციას არ გაივლიან.

„სოციალისტური მოძრაობის“ ლიდერის, სერბეთის ვიცე-პრემიერის ალექსანდრ ვულინის თქმით, კანონპროექტი „უცხოური აგენტების“ შესახებ შემუშავებულია აშშ-ის შესაბამისი კანონის მიხედვით, რომელიც კრძალავს არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებას საზღვარგარეთიდან.თუმცა, სერბეთის ოპოზიცია აღნიშნავს, რომ იგი უფრო ჰგავს რუსეთში ან საქართველოში მოქმედ რეპრესიულ კანონებს, ხოლო აშშ-ის კანონი სხვა საკითხებს არეგულირებს.

## ტრამპმა ჯასტინ ტრუდოსთან შეხვედრისას იხუმრა, რომ კანადა აშშ-ის 51-ე შტატი უნდა გახდეს!



**დონალდ ტრამპმა კანადის პრემიერ-მინისტრ ჯასტინ ტრუდოსთან შეხვედრისას იხუმრა, რომ კანადა აშშ-ის 51-ე შტატი უნდა გახდეს. ამის შესახებ CNN წერს.**

როგორც მედია წერს, დონალდ ტრამპი და ჯასტინ ტრუდო ერთმანეთს ფლორიდაში შეხვდნენ, სადაც კანადის პრემიერ-მინისტრი მას შემდეგ ჩავიდა, რაც აშშ-ის არჩეულმა პრეზიდენტმა კანადიდან შესული საქონლისთვის საბაჟო გადასახადების გაზრდის შესახებ გააკეთა განცხადებები.

ტრუდომ აღნიშნა, რომ მსგავსი საბაჟო ტარიფები კანადის ეკონომიკას დააზარალებს, რა დროსაც ტრამპმა იხუმრა, რომ თუ ასეა, შესაძლოა, კანადა აშშ-ს 51-ე შტატად შეუერთდეს.

ცნობისთვის, მანამდე აშშ-ის არჩეულმა პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ მისი პრეზიდენტობის პირველივე დღიდან მკვეთრად გაზრდის ტარიფებს მექსიკიდან, კანადიდან და ჩინეთიდან შეტანილ საქონელზე. ტრამპის განცხადებით, ეს ნაბიჯი წარმოადგენს საპასუხო ზომას არალეგალურ იმიგრაციასა და საზღვარზე „დანაშაულსა და ნარკოტიკების“ შემოდინებაზე.

## ყოფილ ევროკომისარს დიდიე რეინდერსს ფულის გათეთრებაში სდებენ ბრალს

**ბელგიის ფედერალურმა პოლიციამ რამდენიმე მისამართზე ჩხრეკა ჩაატარა, რაც ყოფილი ევროკომისრის მართლმსაჯულების საკითხებში დიდიე რეინდერსის ფულის გათეთრების საქმეს უკავშირდება.**

ჩხრეკა ჩატარდა რეინდერსის სახლშიც. ყოფილი ევროკომისარი პოლიციაშიც გამოიკითხა. ფულის გათეთრების საქმეს სამართალდამცველები რამდენიმე თვეა, რაც იძიებენ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გამომძიებლები ელოდებოდნენ, რომ რეინდერსს თანამდებობაზე ყოფნის ვადა ამოწურვოდა და ევროკომისრის იმუნიტეტი დაეკარგა.

ფულის გათეთრების გამოძიების ფაქტი ბელგიის გენერალურმა პროკურატურამ დაადასტურა, თუმცა ყოფილ ევროკომისარს ოფიციალური განცხადება ჯერ არ გაუკეთებია.

საქმის მასალების თანახმად, რეინდერსი ეროვნული ლატარიის მეშვეობით ფულის გათეთრებაშია ეჭვმიტანილი. ყოფილი ევროკომისარი, გამოძიების თანახმად, 1 – 100 ევრომდე ღირებულების ელექტრონულ ვაუჩერებს ყიდულობდა და შემდეგ ეროვნული ლატარიის ანგარიშზე რიცხავდა.

ლატარიის ანგარიშით და ნაღდი ფულის გამოყენებით ის თამაშობდა, ხოლო მოგებულ თანხას საკუთარ ანგარიშზე რიცხავდა.

გამოძიებას აინტერესებს, საიდან მოიპოვა რეინდერსმა ეს ფული. მას მათი კანონიერი წარმომავლობის დამტკიცება მოუწევს.



# რატომ არ უნდა მოვუხადოთ ბოდიში ოს სეპარატისტებს

## მანანა მაისურაძე



**დავიბადე და გავიზარდე ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ზნაურის რაიონში. ზნაური, როგორც დასახლებული პუნქტი, საქართველოს გასაბჭოებამდე არ არსებობდა. თავდაპირველად აშენდა ადმინისტრაციული შენობები, მილიცია, საავადმყოფო, სკოლა, ფოსტა, სამხედრო კომისარიატი და ასე შემდეგ. საკუთარი კადრები, ბუნებრივია, არ ჰყავდათ. ამიტომ თბილისიდან მოიწვიეს. მათი გვარებიც კი მახსოვს: შენგელია, შოვნაძე, ჩიმაკაძე, შანშიაშვილი, მეტრეველი, გოგორელიანი, ღვაბერიძე, ჯანელიძე, მელუა, ლონგურაშვილი, დანელია, არჩვაძე... ცოტა მოგვიანებით, ადგილობრივმა ოსებმა განათლება მიიღეს ქ. თბილისში და მათ ჩაანაცვლეს ქართველი სპეციალისტები.**

თავდაპირველად ოსებს ქართული ანბანის საფუძველზე შეუქმნეს საკუთარი ანბანი. მისი გამოყენებით იბეჭდებოდა სკოლის სახელმძღვანელოები და წიგნები. შემდეგ რუსები მიხვდნენ, რომ ასე ქართული ორიენტაციის ხალხი იზრდებოდა და მათი დამწერლობა ჯერ რუსულ ანბანზე გადაიყვანეს, შემდეგ კი ვითომ ოსური სკოლები გახსნეს. სინამდვილეში ოსურად მხოლოდ მეოთხე კლასამდე ისწავლებოდა, შემდეგ კი ერთბაშად რუსულზე გადადიოდნენ. ოსური კი მხოლოდ ერთი საგანი რჩებოდა. ასეთ სკოლაში ბავშვები რუსულ ისტორიასა და რუსულ ლიტერატურაზე იზრდებოდნენ, რამაც ის გამოიწვია, რომ საბოლოო ჯამში ყველა რუსული ორიენტაციის იყო. არაფერი აკლდათ. ჰქონდათ: საკუთარ ენაზე სკოლები, უმაღლესი სასწავლებელი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ჟურნალ-გაზეთები, გამომცემლობა „ირისთონი“, თეატრი, თეატრალური დასი, სახელმწიფო ცეკვის ანსამბლი, კინოთეატრები, სტადიონი, კაფე-ბარები და რესტორნები, სხვადასხვა მუსიკალური ანსამბლები, ფაბრიკა-ქარხნები, ტალკისა და კვაისის საბადოები, სამკურნალო აბანოები. მოსახლეობაში გაჩნდა საკმაო რაოდენობის ქართულ-ოსური შერეული ოჯახები. ბევრი ოსი სწავლობდა ქართულ სკოლებში. იყო ოჯახები, რომელთა ბავშვების ნაწილი ქართულ სკოლაში დადიოდა, ნაწილი – რუსულში. სეპარატისტული გამოხტომები იყო აქა-იქ, მაგრამ ძალიან უმნიშვნელო. მდგომარეობა 1989 წლის აპრილის მოვლენების შემდეგ გამწვავდა. აქ, ბუნებრივია, რუსულმა პროპაგანდამაც იმძლავრა და ქართველებსა და ოსებს შორის დაპირისპირებაც დაიწყო.

1990 წლის 9 აპრილს ყველა სკოლას უნდა მოეწყო ეზოში ხაზი დაღუპულთა პატივსაცემად. ორ-ცვლიანი სკოლა გვქონდა. გამოვიყვანეთ ბავშვები და კლასების მიხედვით გავამწკრივეთ. სკოლის დირექტორის ცოლი ფატიმა თიგიევა მეთერთმეტე კლასის ხელმძღვანელი იყო. მან და ოსურის მასწავლებელმა ზალინა ხუგაევამ სპექტაკლი დადგეს. ამოაღებინეს ცხვირსახოცები გოგონებს და ტირილის იმიტაცია გააკეთებინეს. თვითონ კი იცინოდნენ.

**ქართველებს ზუსტად ის დაგვემართა, რაც თეიმურაზ ხევისთავს. მასაც ეგონა, რომ მარგო მისი ცოლი იყო. არადა უკვე დიდი ხანია, ჯაყო იწვა მასთან. ჩვენც გვეგონა, რომ ფალავანდიშვილების, ხერხეულიძეებისა და მაჩაბლების კუთვნილი მამაპაპური მიწები ჩვენი იყო. როგორც თეიმურაზი ისროლა კიწისკვრით ჯაყომ, ეგრე დაგვემართა ჩვენც. სოფლებს ქართული დასახელებები ჰქონდათ: ნაბაკევი, შინდარა, თიღვა, ალიბარი, სუნისი, ოქონა, ავნევი, მუგუთი, ბვირბვინა, წნელისი, ლოპანი, ნედლათი, ტყისუბანი, ხუნდისუბანი, მუღრისი, ახალშენი. ახლა სახელებს უცვლიან მათ.**



როცა ვითარება ძალიან დაიძაბა (1991 წლის იანვარი), ბავშვები გავიყვანეთ ნათესავებში. დავრჩით სახელმწიფოსაგან დაუცველები. არავის ადარდებდა ჩვენი ბედი. ღამღამობით ოსი ბოევიკები შემოდიოდნენ ხოლმე. ვიმალებოდით, სადაც შეგვეძლო. ერთ ღამესაც ჩუმად შემოგვეპარნენ. ვინც სად მოასწრო, იქ დაიმალა. მეც იქვე, მახლობელი სახლის სარდაფში შევედი, ცარიელი ტომრები დავიყარე თავზე და კუთხეში მივიყუჟე.

შემოვიდნენ, დამინახეს და გარეთ გამომიყვანეს. ერთი ავტომატიანი მომიჩინეს, რომელსაც ნიღაბი ეკეთა. თავი მქონდა ჩაღუნული. ამომდებდა ნიკაპში ავტომატის ლულას, ამაწევინებდა თავს და მერე შუბლში მიმიზნებდა. რამდენჯერმე რომ გააკეთა, ლულაზე ავუკარი ხელი და ვუთხარი: ამხელა კაცი ავტომატით მადგეხარ თავზე, შენი ისედაც მეშინია და ლულის შუბლზე მობჯენა რაღად გინდა-მეთქი?

მაშინვე დაუშვა იარაღი. სახლში ლოგინად ჩავარდნილი მოხუცი ქალი იწვა. დაადგნენ თავზე და ეკითხებოდნენ, თუ სად იყო მისი შვილი. ქალმა არ იცოდა. ვეღარ მოვითმინე და ვუთხარი, რომ ნუ აწვალებთ ავადმყოფს, მართლა არ იცის. ამის თქმა იყო და მომცვივდნენ, ქუდი გადამიწიეს და ფარანი ჩამანათეს სახეში. ხმაზე მიცნო ვიღაცამ. მაშინვე წამიყვანეს. მოგვაგროვეს სოფლის გარეთ ფერმის ეზოში. ქალი მარტო მე ვიყავი. კაკო გაბარაევმა მიყვირა: მორჩა თქვენი ბაირამობა, ახლა ჩვენი დროაო და დამიზნებით მესროლა სანადირო თოფი. უკანასკნელ წამს ვიღაცამ აუკრა ხელი და ტყვიამ ყურთან გამიზუზუნა. ოსური არ ვიცოდი, მაგრამ მაინც გავიგონე, როგორ თქვა ერთმა: „რაღა შტაბში წავიყვანოთ, აგერ შევყაროთ ფერმაში და დავწვათო“. ეს რომ გავიგონე, ცოტა გულზე მომეშვა, რადგან შტაბში წაყვანას ყველაფერი მერჩივნა. ისიც მახსოვდა, რომ ანალოგიური 1924 წელსაც გააკეთეს ყორნისში. გადაწყვიტეს ჩვენი ზნაურში წაყვანა.

მანქანამდე 2 კილომეტრი იყო. გაგვამწკრივეს თოვლიან ბილიკზე, აქეთ-იქიდან და უკან ავტომატიანი ბოევიკები მოგვყვებოდნენ. გავიფიქრე: შე საწყალო ქართველო, როდემდე უნდა იარო შენს მიწა-წყალზე დატყვევებულმა?! ძალიან მეშინოდა ზნაურში ჩაყვანის. გადავწყვიტე, მანქანიდან გადავმხტარიყავი და თავი მომეკლა. მაგრამ რომ გადავიხედე, ორმეტრიანი თოვლი იყო და ვერ მოვკვდებოდი.

ჩაგვიყვანეს ზნაურში, შეგვიყვანეს ერთ ოთახში. გოგალაძე გოჩას, გოგალაძე მერაბს, გოგალაძე თეიმურაზსა და ხარაზიშვილ ფერშანგს ცემა დაუწყეს თოფის კონდახებით და წიხლებით. თავი ჩავღუნე, ცქერა არ შემეძლო. მხოლოდ დარტყმისა და ძირს დაცემის ხმები მესმოდა. არც ერთს არ დაუყვირია, არც შველა ან შებრალება არ უთხოვიათ. დაამთავრეს მათი ცემა და დაიძახეს, ახლა ქალიო. შტაბის უფროსმა სლავიკ თიბილოვმა ერთ ბნელ ოთახში შემიყვანა. მხოლოდ მთვარის შუქი შემოდიოდა,. ხელში დანა ეჭირა და მითხრა, ახლა ძუძუები უნდა დაგაჭრაო. ძალიან შემეშინდა, დავიჯერე, რადგან დერეფანში ქირურგს მოვკარი თვალი. მერე ამოიღო ასანთი, გაკრავდა, სახეში ჩამანათებდა და მეკითხებოდა, გეშინიაო? ვეუბნებოდი, რომ მეშინოდა. ასე დაცალა ერთი კოლოფი.

გამომიყვანეს დერეფანში. გოჩა გოგალაძე ჰყავდათ ქუჩაში და აიძულებდნენ, გაიქეციო. ცოტა იმედი მომეცა, და ვუთხარი, მე გავიქცევი და მესროლეთ-მეთქი. მითხრეს, ჩვენ ქალებს არ ვხოცავთო. ბიჭებს სცემდნენ. მე უფრო „საგანმანათლებლო“ სექტორში ვიყავი. ლექციებს მიკითხავდნენ. ერთი ადგილობრივი არ იყო, უაქცენტოდ ლაპარაკობდა რუსულად, მეორე კი მილიციელი ჯიოევი იყო. ის ქართულად მელაპარაკებოდა. მითხრეს, რომ ეს მათი მიწა-წყალი იყო მცხეთამდე. უბრალოდ, ახლა არ უნდოდათ, თორემ როცა მოინდომებდნენ, მათი იქნებოდა. აი, 2 მეტრ მიწას კი ყველას მოგვიზომავდნენ.

**მასწავლებელი ვიყავი, ყველა მიცნობდა. ამის გამო იფიქრეს, რომ გადამცვლიდნენ ვიქტორ ალბოროვზე, რომელიც ქარელის მილიციამ ტრაქტორის ქურდობისთვის დააპატიმრა. მაშინ ქარელის მილიციის უფროსი მალხაზ ბერუაშვილი იყო. შემოთვალა, რომ ეგ კი არა, ჩემი შვილიც რომ იყოს, ალბოროვზე არ გადავცვლიო. ამ დროს არც ის იყო სტალინი, არც მე იაკობ ჯუღაშვილი და არც ის ალბოროვი – გენერალი პაულიუსი.**

იმჟამინდელი საქართველოს მთავრობა? საერთოდ თითიც კი არ გაუნძრევიათ. პირიქით, მიუხედავად იმისა, რომ ყველამ იცოდა, სად ვიყავით, ტელევიზიითა და რადიოთი ჩვენს შესახებ ყალბი ინფორმაცია ვრცელდებოდა: არ ვიცით, სად ჰყავთ მძევლებიო. ამიტომ ქართულმა მოსახლეობამ ზნაურელი ბოევიკების მამები და ძმები აიყვანეს მძევლებად, რათა ჩვენზე გადაეცვალათ. დაინიშნა გადაცვლის დღე. მანამდე ასეთი რამ მოაწყვეს: ახლომახლო სოფლებიდან ჩამორეკეს ხალხი, ზნაურის ცენტრალურ ქუჩაზე აქეთ-იქით განალაგეს და სათითაოდ გაგვატარეს ბადრაგის თანხლებით. მე ბოლო ვიყავი. იმ გზაზე გამატარეს, რომელზეც 10 წლის განმავლობაში სკოლაში დავდიოდი. შეძახილები მესმოდა. ჩემს თავს ვუთხარი, გვერდზე არ გაიხედო-მეთქი, რადგან რომელიმე ნაცნობი სახის დანახვა და ისტერიკა ერთი იქნებოდა. მანამდე ჩემი ცრემლი არავის უნახავს. ერთხელ შტაბის უფროსმა მიყვირა: „**Почему ты на меня смотришь как Ленин на буржуазию**“? ახლა წინ გავიხედე, ამოვარჩიე ყველაზე დიდი ნაძვი და მის კენწეროს ვუყურებდი. მიმიყვანეს მანქანასთან, ჩვენი ბიჭები უკვე იქ იყვნენ. ავედი. მოვიდნენ ანზორ თიბილოვი და ჩოჩე გობოზოვი. გვაფურთხეს და გვაგინეს. ვისხედით დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი. სათითაოდ გვცვლიდნენ. მე კობა გაბარაევში გამცვალეს. კობა ჩემი მეზობელი, ჩემი შვილის მეგობარი იყო. უნდა გაგვევლო 4-კილომეტრიანი ნეიტრალური ზონა. დავადექით თუ არა გზას, „ტრასერები“ დაგვაყარეს. თითქოს მავთულები ზუზუნებდნენ. დამიზნებით არ გვესროდნენ. როგორც იყო, ჩავაღწიეთ სოფელ ოქონამდე.

მთავრობიდან ვინმემ მოგვაკითხა? მეტი დარდი არ ჰქონდათ! პირიქით, ისევ აგრძელებდნენ დეზინფორმაციის გავრცელებას. მერე ჩემი შვილი მივიდა ტელევიზიაში და უთხრა მათ, რომ უკვე გაგვათავისუფლეს. მგონი, ეწყინათ კიდეც, რომ არ დაგვხოცეს.

**კიდევ რამდენიმე ეპიზოდი, რომლებიც საქართველოს უახლოეს ისტორიაში არ უნდა დაიკარგოს:**

**1. ქალეთელი 81 წლის აკაკი გოგალაძე მოულოდნელად გაქრა. ახლო ნათესავებმა ის ათი დღე ეძებეს და ნახეს. ოს სეპარატისტებს ტომარაში ჩაუტენიათ და ჭაში ჩაუგდიათ;**

**2. 1991 წლის 20-22 სექტემბერს ოსმა ე. წ. ბოევიკებმა თითქმის მთლიანი სოფელი (ქალეთი) გადაწვეს;**

**3. ლოპნელი როინ მაჭარაშვილი ზამთარში დაიკარგა. როცა თოვლი დადნა, მისი ჩონჩხი ნახეს და ჩექმებით ამოიცნეს;**

**4. მოხუცი მელიტონ დარბაიძე სასიკვდილოდ ცემეს.**

31 წელია, ვითხოვ დამწვარი სახლის კომპენსაციას და არ მაძლევენ. ვიყავი მინისტრის მოადგილე მამუკა ცოტნიაშვილთან. გაუკვირდა, შენისთანა ადამიანს როგორ არ მისცეს კომპენსაციაო. დიდი იმედებით გამომიშვა. ისიც კი მკითხა, სად ისურვებდი ბინასო. უკან კი წერილი მომაყოლა, რომ „გრძელვადიან სიაში ხარ ჩასმულიო“...(!). ხელისუფლების წარმომადგენლის ასეთი გულგრილი, უსულგულო დამოკიდებულება ჩემს მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისათვის გაცილებით გულსაკლავია, ვიდრე იმ ოსების საქციელი ვისი ტყვეობიდანაც მხოლოდ უფლის ნებით გამოვიხსენი.

ჩაიწერა
**გოგი მაისურაძემ**

**P. S.** ჩემი რესპონდენტი მანანა მაისურაძე ის ქალბატონია, რომელმაც ტელევიზიაში დიმიტრი(დუტა) სხირტლაძის გადაცემაში „ვის უნდა 20 ათასი“ ყველა შეკითხვას დამაჯერებლად უპასუხა და დაწესებული ფულადი თანხა მოიგო.


მოვლენები ცხინვალში. ფოტო ა. პუშკარიოვისა. 1991

ევრო 2025

# არავისი არ გვეშინია



**სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის წილისყრა გაიმართა და საქართველოს ნაკრების მეტოქეები გაირკვა.**

**რამაზ სვანაძის** გუნდი მეოთხე კალათაში იყო განთესილი და თავიდანვე მარტივი მისახვედრი იყო, რომ საკმაოდ რთულ ჯგუფში მოხვდებოდა. საბოლოოდ, ევრო 2025-ზე საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს C ჯგუფში მოუწევს თამაში პოლონეთის, საფრანგეთის და პორტუგალიის 21-წლამდელთა ნაკრებების წინააღმდეგ.

**A ჯგუფი**
სლოვაკეთი, ესპანეთი, იტალია, რუმინეთი.

**B ჯგუფი**
ჩეხეთი, ინგლისი, გერმანია, სლოვენია.

**C ჯგუფი**
პორტუგალია, საფრანგეთი, პოლონეთი, საქართველო.

**D ჯგუფი**
ფინეთი, ნიდერლანდები, უკრაინა, დანია.

ევრო 2025-ს სლოვაკეთის ქალაქები, ჟილინა, პრეშოვი, კოშიცე, ნიტრა, ტრენჩინი, დუნაისკა სტრედა, ბრატისლავა და ტრნავა 11-28 ივნისს უმასპინძლებენ.

**ჩვენი გუნდის კალენდარი:** 11 ივნისი – პოლონეთთან, 14 ივნისი – საფრანგეთთან, 17 ივნისი – პორტუგალიასთან.

საქართველოს ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატზე ერთხელ აქვს ნათამაშები, 2023 წელს, როცა პორტუგალიას 2:0 მოუგო, ბელგიას (2:2) და ნიდერლანდებს (1:1) დაუზავდა, შედეგად, 5 ქულით ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. რამაზ სვანაძის გუნდს მეოთხედფინალშიც არ წაუგია თამაში – ნულოვანი ფრე ისრაელთან, მხოლოდ პენალტებში წააგო და ასე დაემშვიდობა ტურნირს, ერთი ნაბიჯი დააკლდა ნახევარფინალამდე და ოლიმპიადის საგზურამდეც.

აქვე ვთქვათ, რომ პლეი-ოფში, მეოთხედფინალურ სტადიაზე A ჯგუფის გამარჯვებული B ჯგუფის მეორეადგილოსანს შეხვდება, B ჯგუფის გამარჯვებული A ჯგუფის მეორეადგილოსანს, C ჯგუფის გამარჯვებული D ჯგუფის მეორეადგილოსანს, D ჯგუფის გამარჯვებული C ჯგუფის მეორეადგილოსანს.

რომანტიკა

# წყალშიც, ხმელეთზეც...

**როცა თამარ შარუხიაზე საუბრობ, მაშინვე დეეჭვდები – არის კი იგი სუსტი სქესის წარმომადგენელი? დიახ, რამდენადაც ქალურ კდემამოსილებას აფრქვევს და ჰაეროვნად გამოიყურება, იმდენად საარაკო გამძლეობითა და ამტანობით გამოირჩევა.**



სხვაგვარად 52 წლის უნივერსალი ბოსფორის სრუტის 6,5-კილომეტრიან დისტანციას ვერც გადაცურავდა 1 საათსა და 22 წუთში. და ეს მხოლოდ დიდი თავგადასავლების საწყისი ეტაპია – განზრახული აქვს ესპანეთში უკვე 10-კილომეტრიანი ზემარათონი დაძლიოს, მანამდე კი საფრანგეთის ლაჟვარდოვან სანაპიროზე ნიცაში ჯერ 4 კილომეტრი უნდა გაცუროს, შემდეგ ველოსიპედით 180 კილომეტრს შეუტიოს და ბოლოს 42 კილომეტრი ირბინოს, რაშიც 800 ევრო გადაიხადა.



ალბათ, დაგაინტერესებთ – ჩვენს შეჭირვებულ ყოფაში ვინ უწევს ბათუმელ დიასახლისს სპონსორობას. არც მალავს – გოლიათური აღნაგობის გემის კაპიტანი მეუღლე 2 ქალიშვილის დედას ისეთი გულშემატკივრობით ანებივრებს, საფიქრალად მხოლოდ სპორტული სიმაღლეების დაპყრობას უტოვებს.

ყველაფერი კი ბავშვური ონავრობით დაიწყო, როცა უბნის ბიჭებთან ერთად თამაშობდა ფეხბურთს, ომობანას და ჭიდაობდა კიდეც, რამაც ლიდერის თვისებები ჩამოუყალიბა და მიზანდასახული გახადა.

ალბათ, ასეთ წრთობას უნდა უმადლოდეს, სკოლის დამთავრების შემდეგ მოსკოვში დედის პროფესიის – ექთნობის დაუფლებისას მოხუცთა სახლის სანიტარმა ავადმყოფ ხანდაზმულთა მოვლას ღირსეულად რომ გაუძლო.

მოკლედ, რომანტიკა გრძელდება...

ევროლიგა

# არსაიდან ხსნა...



**„ვირტუს ბოლონია“ ევროლიგაში ძალიან ცუდად ასპარეზობს, მე-13 ტურში ბოლოადგილოსან „ალბასთან“ შინ წააგო და ახლა თავადაა ბოლო საფეხურზე.**

შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ – 78:78 დასრულდა, ოვერტაიმში კი გერმანელებმა აჯობეს მეტოქეს და საბოლოოდ, 90:88 გაიმარჯვეს.

თორნიკე შენგელიამ ამჯერად მხოლოდ 21 წუთი ითამაშა. ხსენებულ დროში ქართველმა კალათბურთელმა 2 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი და 2 დაფარება მიითვალა. თორნიკემ 3 ორქულიანი და 3 სამქულიანი ააცილა, 2-დან 2 საჯარიმო კი ჩააგდო.

„ვირტუსი“ 2 მოგებით და 11 წაგებით ბოლო, მე-18 ადგილზეა, ხოლო მომდევნო ტურში 6 დეკემბერს „ცრვენა ზვეზდას“ უმასპინძლებს.

# საფეხბურთო მოზაიკა

**საბა გოგლიჩიძის „ემპოლი“ იტალიის თასის მეოთხედფინალში გავიდა. რობერტო დ'ავერსას გუნდმა ფლორენციის „ფიორენტინა“ სტუმრად პენალტების სერიაში დაამარცხა.**

შეხვედრა ფრედ, 2:2 დასრულდა, ხოლო პენალტებში „ემპოლიმ“ 4:3 გაიმარჯვა და მომდევნო ეტაპზე გავიდა, სადაც ტურინის „იუვენტუსსა“ და „კალიარის“ წყვილს შორის გამარჯვებულს შეხვდება. საბა გოგლიჩიძეს არ უთამაშია, განაცხადშიც არ იყო, სავარაუდოდ, მას ტრავმის შემდეგ დასვენების შესაძლებლობა მიეცა.

შვეიცარიის თასის მეოთხედფინალში გავიდა „ბაზელი“, რომელმაც „სიონი“ პენალტების სერიაში დაამარცხა მას შემდეგ, რაც ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ, 2:2 დასრულდა. **გაბრიელ სიგუა** სათადარიგოთა სკამზე იყო.

გერმანიის თასის მერვედფინალში „კარლსრუე“ „აუგსბურგთან“ დრამატულ ბრძოლაში, პენალტების სერიაში დამარცხდა და ტურნირს გამოეთიშა, თუმცა **ბუდუ ზივზივაძეს** შესანიშნავი თამაში ჰქონდა.

ქართველმა ფეხბურთელმა ორი საგოლე პასი მიითვალა: ბუდუს გადაცემით 53-ე წუთზე ფლორიან შლოიზენერმა მოახერხა გატანა და გაათანაბრა. ძირითადი დრო ფრედ, 1:1 დასრულდა, ხოლო დამატებით დროში გუნდებმა კიდევ თითო გოლი გაცვალეს. 111-ე წუთზე ზივზივაძემ მეორე ასისტი ჩაიწერა აქტივში, ამჯერად მან მარსელ ვანიცეკს გაატანინა.

„კარლსრუე“ იგებდა, მაგრამ 123-ე წუთზე გაუშვა და თითქმის მოგებული მატჩი საბოლოოდ წააგო, რადგან პენალტების სერია ბუნდესლიგის ბინადარმა „აუგსბურგმა“ 5:4 მოიგო. ზივზივაძე 121-ე წუთზე შეცვალეს. სხვათა შორის, ბუდუმ მეორე წუთზე გოლიც გაიტანა, მაგრამ მსაჯმა დააჯარიმა და გოლი არ ჩათვალა – საკმაოდ საკამათო გადაწყვეტილება იყო.

„კარლსრუეს“ ზუსტად ერთი წუთი დააკლდა გერმანიის თასის მეოთხედფინალამდე, რაც დიდებული შედეგი იქნებოდა. ბუდუ ზივზივაძემ გერმანიის თასზე მიმდინარე სეზონში სამ შეხვედრაში 2 ბურთი გაიტანა და 3 საგოლე პასი შეასრულა. გარდა ამისა, II ბუნდესლიგაში 9 ბურთი აქვს გატანილი და 3-ჯერ საგოლე პასი შეასრულა.

ესპანეთის თასის 1/32-ფინალში „ვალენსიამ“ ქვედალიგელი „ეიეა“ 3:1 დაამარცხა და 1/16-ფინალის საგზური მოიპოვა. **გიორგი მამარდაშვილი** განაცხადში არ იყო, მას რუბენ ბარახა თასზე არ ათამაშებს, ყოველ შემთხვევაში, სუსტი გუნდების წინააღმდეგ.

⚽ ⚽ ⚽

**ლა ლიგის** მე-19 ტურის გადმოტანილ მატჩში მადრიდის „რეალი“ ბილბაოს „ატლეტიკთან“ დამარცხდა – 1:2. ამრიგად, „ლოს ბლანკოსმა“ მეხუთე მატჩი წააგო 2024/2025 წლების სეზონში, თანაც **მბაპემ** პენალტი ზედიზედ მეორედ გააფუჭა.

„სამეფო კლუბმა“ **კარლო ანჩელოტის** დროს საფეხბურთო წლის პირველ ნახევარში მარცხების რაოდენობით ბოლო ხუთი სეზონის საკლუბო ანტირეკორდი გაიმეორა. წინა ჯერზე 5 მარცხი იმავე პერიოდში 2020/2021 წლების სეზონში გახლდათ.

შეგახსენებთ, რომ „რეალი“ „ლივერპულთან“ (0:2), „მილანთან“ (1:3), „ბარსელონასთან“ (0:4) და „ლილთან“ (0:1) დამარცხდა.

„რეალი“ 33 ქულით ესპანეთის ჩემპიონატში მეორე ადგილზეა.

⚽ ⚽ ⚽

**„ლივერპულის“** თავდამსხმელმა **მოჰამედ სალაჰმა** პრემიერლიგის ისტორიაში ყველა სხვა მოთამაშეზე მეტჯერ გაიტანა ან საგოლე პასი შეასრულა.

წყაროს ცნობით, სალაჰმა უკვე 37 მატჩი ჩაატარა, რომლებშიც მან ორი ან მეტი ეფექტური ქმედება (მინიმუმ ერთი გოლი და ერთი შედეგიანი გადაცემა) გააკეთა. ადრე ამ მაჩვენებლის რეკორდი „ევერტონისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილ ფორვარდს **უეინ რუნის** ეკუთვნოდა. აღსანიშნავია, რომ სალაჰმა ინგლისელზე 214 თამაშით ნაკლები ჩაატარა.

შეგახსენებთ, რომ პრემიერლიგის მე-14 ტურის მატჩში „ლივერპული“ „ნიუკასლ იუნაიტედს“ დაუზავდა, ანგარიშით 3:3. სალაჰმა ამ შეხვედრაში დუბლი შეასრულა და საგოლე პასი გააკეთა.

მიმდინარე სეზონში სალაჰმა კლუბის შემადგენლობაში 21 მატჩი ჩაატარა ყველა ტურნირზე, გაიტანა 15 ბურთი და 12 საგოლე გადაცემა შეასრულა. ეგვიპტელს კლუბთან კონტრაქტი 2025 წლის ივნისში ეწურება.

⚽ ⚽ ⚽

**„მანჩესტერ სიტიმ“** 7-მატჩიანი წარუმატებელი სერია შეწყვიტა და პრემიერლიგის მე-14 ტურში „ნოტინგემ ფორესტი“ 3:0 დაამარცხა.

ბურთები **ბერნარდო სილვამ, კევინ დე ბრუინმა** და **ჟერემი დოკუმ** გაიტანეს. ამგვარად, „სიტიმ“ 26 ოქტომბრის მერე პირველად მოიგო – შეწყვიტა პრემიერლიგაში ზედიზედ 4-მატჩიანი წაგებების სერია და ყველა ტურნირზე 7-მატჩიანი მოუგებელი სერია – 1 ფრე, 6 წაგება.

„სიტის“ 26 ქულა დაუგროვდა და ჯერ ისევ მეოთხე ადგილზეა, თუმცა, ლიდერ „ლივერპულთან“ ჩამორჩენა 9 ქულამდე შეამცირა, რადგან **არნე სლოტის** გუნდმა ვერ მოიგო.

„ლივერპულის“ დიდებული სერია „სენტ ჯეიმს პარკზე“ „ნიუკასლთან“ შეწყდა, სადაც „ჯორდები“ ორჯერ იგებდნენ, შემდეგ 83-ე წუთზე ჩამორჩნენ ანგარიშში (2:3), მაგრამ ბოლოს მაინც გაათანაბრეს და „ლივერპულს“ ქულები დააკარგვინეს.

„ლივერპული“ 35 ქულით მაინც დამაჯერებლად ლიდერობს პრემიერლიგას, ხოლო „ნიუკასლი“ 20 ქულით მეათე ადგილზეა.

ისევ მოიგო ლონდონის „ჩელსიმ“, რომელმაც სტუმრად “საუთჰემპტონი” 5:1 გაანადგურა და 28 ქულა დაუგროვდა. **ენცო მარესკას** გუნდმაც ორი ქულით შეამცირა „ლივერპულთან“ ჩამორჩენა და სხვაობა ახლა 7 ქულაა.

საქართველო რესპუბლიკა

## მედიცინა

### ამირან გამყრელიძე:

# არ უნდა გვეშინოდეს, რომ C ჰეპატიტის პროექტი აშშ-თან პარტნიორობის შეჩერების გამო შეწყდება!



**C ჰეპატიტის** პროგრამასთან დაკავშირებით ამერიკულ კომპანია „გილიადთან" კონტრაქტი 2026 წლამდეა ძალაში – სახელმწიფოს შეუძლია 2026 წლიდან C ჰეპატიტის წამალი, რომელიც 200-300 დოლარის ფარგლებშია, თავად შეიძინოს, – განაცხადა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ყოფილმა ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ, რითაც გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებთან პარტნიორული ურთიერთობების გაწყვეტამ, შესაძლოა, ისეთი პროექტის შეწყვეტა გამოიწვიოს, როგორიც არის C ჰეპატიტის ელიმინაცია.

როგორც ამირან გამყრელიძე „ინტერპრესნიუსთან" განმარტავს, მოსახლეობას არ უნდა ეშინოდეს, რომ ეს პროექტი აღნიშნული მიზეზის გამო შეწყდება.

# მალარიის საწინააღმდეგო ვაქცინა



**მეცნიერებმა ინოვაციური ვაქცინაციის მეთოდს მიაგნეს, რომელიც მალარიის საწინააღმდეგოდ არის მიმართული.**

ვაქცინაციის ახალი მეთოდი კოღოების ნაკბენზე არის აგებული. მათში მოთავსებულია სპეციალურად მოდიფიცირებული მალარიის პარაზიტი, რომელიც იძლევა იმუნურ პასუხს, თუმცა არ იწვევს დაავადებას.

კლინიკურმა ცდებმა აჩვენეს, რომ ამ მეთოდის ეფექტურობა 90%-ს აღწევს. აქამდე არსებული მალარიის საწინააღმდეგო ვაქცინების ეფექტურობა მხოლოდ 75%-ს აღწევდა და განმეორებით ვაქცინაციას საჭიროებდა. ამიტომ, იმუნოლოგები აგრძელებდნენ ალტერნატიული გზების ძებნას.

ეს აღმოჩენა შეიძლება გახდეს გარდამტეხი მალარიასთან ბრძოლაში. ამჟამად, მეცნიერები აპირებენ მასშტაბური ცდების ჩატარებას, რათა ამ მეთოდის ვაქცინაცია უფრო ფართოდ იყოს გამოყენებული.

მალარია ხასიათდება ცხელების შეტევებით, ანემიით, ღვიძლისა და ელენთის გადიდებით. მალარიას იწვევს ერთუჯრედიანი ორგანიზმი – პლაზმოდიუმი, რომელიც გადააქვს მალარიის კოღოს – ანოფელესს. მალარია გავრცელებულია აფრიკის, აზიისა და სამხრეთ ამერიკის ზოგიერთი რაიონის ჭაობიან ადგილებში.

# კონგოში უცნობი დაავადებით 140-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა

**კონგოში გაურკვეველ დაავადებას ებრძვიან. ინფექცია, რომელსაც თან ახლავს გრიპის მსგავსი სიმპტომები, მათ შორის ცხელება და ძლიერი თავის ტკივილი, აინფიცირებს ძირითადად ქალებსა და ბავშვებს.**

კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე პროვინცია კვანგოში, 140-ზე მეტი ადამიანი უცნობი დაავადებით გარდაიცვალა, – ამის შესახებ Reuters-ი ადგილობრივ ხელისუფლებაზე დაყრდნობით წერს.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ ქვეყნის რეგიონში უკვე გააგზავნა მედიკოსები, რათა მათ დაავადების ნიმუშები შემდგომი კვლევებისთვის შეაგროვონ.

ადგილზე მობილიზებულია სამედიცინო ჯგუფი, რომელიც ინფიცირებულებს დაეხმარება და დაავადების იდენტიფიცირებას ეცდება.

კონგოს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი, სეფორიენ მანზანზა აცხადებს, რომ ვითარება სერიოზულია, რადგან დაინფიცირებული ადამიანების რიცხვი თანდათან იზრდება.

კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციას (WHO) დაავადების შესახებ არსებული ვითარება აცნობა.



# NASA-მ მიწისქვეშა ქალაქი იპოვა!



NASA-მ გრენლანდიის ყინულში ჩაფლული ფარული მიწისქვეშა „ქალაქი" აღმოაჩინა. კოსმოსური სააგენტოს გუნდი საკმაოდ გაოგნებული დარჩა აღმოჩენით, რომელიც აჩვენებს მოწინავე ცივილიზაციის აშკარა ნიშნებს.

საუბარია კონსტრუქციებზე და შენობებზე, რომლებიც ზედაპირიდან 30 მეტრით არის ჩამარხული.

სურათი გადაიღო მეცნიერთა ჯგუფმა NASA Gulstream III-ის კვლევით თვითმფრინავზე, რომელიც მოგზაურობდა გრენლანდიის თავზე და აკვირდებოდა მის ყინულს.

ეს ადგილი სინამდვილეში არის ოდესღაც საიდუმლოდ მიტოვებული ცივი ომის სამხედრო ბაზა, რომელიც ყინულში ჩაშენებულია შეერთებული შტატების მთავრობის მიერ.

იგი ცნობილია როგორც „ქალაქი ყინულის ქვეშ" (Camp Century), რომელიც 1959 წლით თარიღდება.

### რა იყო Camp Century?

Camp Century პროექტ Iceworm-ის ნაწილი იყო. ეს იყო ზედმეტად საიდუმლო პროგრამა, რომელიც დაარსდა აშშ-ის არმიის მიერ გრენლანდიის ყინულის ქვეშ ბირთვული რაკეტების გაშვების უბნების ქსელის მოსაწყობად.

1959 წლიდან მოყოლებული, ყინულში სულ 21 გვირაბი გაკეთდა. მთელი პროექტი ბირთვული რეაქტორით იკვებებოდა. საბჭოთა კავშირის თავდასხმის შემთხვევაში, ყინულის ქვეშ განლაგებული 600 რაკეტა მზად იყო გასასროლად. არსენალი იმდენად დიდი იყო, რომ შეეძლო, გაენადგურებინა სსრკ-სა და აღმოსავლეთ ევროპაში სამიზნეების 80 პროცენტი.

ადგილი 1967 წელს მიატოვეს, რის შედეგადაც დარჩა ბირთვული ნარჩენები, რომლებიც დღემდე საშიშია!

### როგორია ადგილი დღეს

**იმის** გათვალისწინებით, თუ როგორ მუშაობს ბუნება, თოვლისა და ყინულის ნარევმა დაფარა ადგილი, რის გამოც Camp Century ღრმად ჩაფლულია მიწისქვეშეთში.



„ყინულის სისქის დეტალური ცოდნის გარეშე, შეუძლებელია იმის ცოდნა, თუ როგორ რეაგირებს ყინულის ფენები ოკეანეებისა და ატმოსფეროს სწრაფად დათბობაზე, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს ჩვენს უნარს, გამოვრიცხოთ ზღვის დონის აწევის ტემპები", – თქვა ერთ-ერთმა მეცნიერმა.



# აღმოჩენა, რომელიც დედამიწის ისტორიას ცვლის

**მეცნიერების ჯგუფმა გაავრცელა ინფორმაცია ახალი აღმოჩენის შესახებ, რომელიც 100 მილიონი წლის წინ, წყნარი ოკეანის ქვეშ დიდი შეჯახების მტკიცებულებაა. ამის შესახებ უცხოური მედია წერს.**

მეცნიერთა ჯგუფის განცხადებით, აღმოჩენილია ზღვის ფსკერის ნაშთები, რომელიც, სავარაუდოდ, ტექტონიკური ფირფიტის ნაწილია. იგი, სავარაუდოდ, ჩამოიშალა და ჩამოცურდა მილიონობით წლის წინ.

**„ჩვენი აღმოჩენა ბადებს ახალ კითხვებს იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს დედამიწის სიღრმე იმაზე, რასაც ჩვენ ვხედავთ ზედაპირზე უზარმაზარ დისტანციებზე და დროში"**, – განაცხადა ერთ-ერთმა მეცნიერმა.

მეცნიერებმა აღმოაჩინეს 19312 მეტრის სისქის და 1931 კილომეტრი სიგრძის ტერიტორია **„მანტიის გარდამავალ ზონაში"**. ეს არის რეგიონი, რომელიც გამოყოფს ზედა მანტიას ქვედისგან.

მკვლევარის თქმით, ეს აღმოჩენა ნიშნავს, რომ მეცნიერებს მოუწევთ, გადახედონ იმას, რაც ვიცით მანტიის გარდამავალი ზონის შესახებ. მისივე თქმით, ოკეანის სიღრმეში კიდევ უფრო ძველი სტრუქტურებიც არსებობს.

**„ეს მხოლოდ დასაწყისია. ჩვენ გვჯერა, რომ კიდევ ბევრი უძველესი სტრუქტურა ელოდება აღმოჩენას დედამიწის სიღრმეში. თითოეულ მათგანს აქვს პოტენციალი, გამოავლინოს ბევრი ახალი შეხედულება ჩვენი პლანეტის რთული წარსულის შესახებ"**, – თქვა ვანგმა.

## კრიმინალი

# სენაკში კაცმა ცოლი მოკლა

**საქართველოში ფემიციდის მორიგი შემთხვევა დადასტურდა – სენაკში კაცმა ცოლი მოკლა.**

არსებული ინფორმაციით, შუახნის კაცმა ცოლს ცივი იარაღით ჭრილობები მუცლისა და გულ-მკერდის არეში მიაყენა – დამნაშავე ცხელ კვალზეა დაკავებული.

როგორც „კვირას" შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე მუხლის „კ" ქვეპუნქტით მიმდინარეობს.



ირაკლი ვაშაყმაძე

## მოფრინდი, ნათელო!

ანგრევენ და... წვავენ...
იწვის...
რუსთაველის გამზირი,
მოთქვამს, გოდებს
ქართვლის დედა,
ზეციერის აღზრდილი.
შესევია იმერ-ამერს,
უღმერთოთა ლაშქარი,
კაცი, ქალი, ღვთისმგმობელი,
ავზნიანი, აშარი...
რა დღეში ხარ, საქართველო,
რუსთაველის გამზირო!
შობის კვერი, დედი ისევ,
ცრემლში უნდა აზილო?
ჩავწყვდიადდით, უფლის
მადლით,
მოფრთიანდი ნათელო,
შენი ლოცვით,
ღვთისმშობელო
უნდა აგვაქართველო.
სად ხარ, გმირო ამირანო!
ხმლიანო, თმაგიშერო...
მაცხოვარო საშობაოდ,
იქნებ, იქნებ, გვიშველო.

3 დეკემბერი, 2024.

## გახსენით-ვაწერთ, შანტაჟის გარეშე, ღირსებით ევროპისკენ!




„ქართული ოცნების" წევრები სოციალურ ქსელში აზიარებენ ბანერს, სადაც ნათქვამია, რომ ევროკავშირი საქართველოს გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებებს თუ გაუხსნის, მმართველი პარტია ხელს მოაწერს.

„გახსენით-ვაწერთ. შანტაჟის გარეშე, ღირსებით ევროპისკენ", – წერია გამოქვეყნებულ ბანერზე.

აღნიშნული ბანერი „ქართული ოცნების" არაერთმა წევრმა გააზიარა.

## თავი შეიკავეთ, რათა თქვენმა ქმედებამ ძალადობა არ გამოიწვიოს!

**შეშფოთებით ვაკვირდებით საქართველოში განვითარებულ მოვლენებს და ხაზს ვუსვამთ გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრების პატივისცემის მნიშვნელობას,** – ამის შესახებ გაეროს გენერალური მდივნის პრესსპიკერმა **სტეფან დუჟარიკმა** განაცხადა.



მისი თქმით, თანაბრად მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ ყველა ცნობა დროულად და სრული გამჭვირვალობით იქნას გამოძიებული.

**„გენერალური მდივანი მოუწოდებს ყველა აქტორს, თავი შეიკავონ ქმედებებისგან, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს შემდგომი ძალადობა და შეეცადონ, დაძლიონ უთანხმოება დიალოგის გზით",** – განაცხადა სტეფან დუჟარიკმა.

## გოდერძი ჩოხელის უკვდავება

**11 დეკემბერს, 19 საათზე, საქართველოს მწერალთა სახლში, გოდერძი ჩოხელის სახელობის ლიტერატურული კონკურსის მინიატიურის ჟანრში – „ერთგულება" – გამარჯვებულების დაჯილდოება გაიმართება.**

ორგანიზატორების ინფორმაციით, დაჯილდოებაზე დასწრება თავისუფალია.

კონკურსში გამარჯვებულების ვინაობას კონკურსანტები, ჟიურის წევრები და დამსწრე საზოგადოება დაჯილდოების ცერემონიაზე შეიტყობს.





## მსახიობები გაიფიცნენ



**კულტურის სფეროს წარმომადგენელთა ნაწილმა გაფიცვის გადაწყვეტილება მიიღო.**

შესაბამის ინფორმაციას ისინი სოციალური ქსელის საშუალებით ავრცელებენ.

ამ ეტაპზე გაფიცვა 10-მდე პირს აქვს გამოცხადებული.

გაფიცულთა შორის არიან: **ნინო კასრაძე, კახა კინწურაშვილი, გიორგი ცხადაძე, ვანო თარხნიშვილი, გივიკო ბარათაშვილი, ეკა დემეტრაძე, თუთა ოქროპირიძე, თამრი ოხიკიანი, მანუ თავაძე, მარიამ ნადირაძე, ნატუკა კახიძე, ანდრო ჭიჭინაძე, ნატალია გაბისონია, ნანკა კალატოზიშვილი.**

ამასთან, გაფიცულია ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის 56 თანამშრომელი. ამის შესახებ ინფორმაციას სოციალურ ქსელში რეჟისორი **ოთარ ქათამაძე** ავრცელებს.

**„ჩვენ, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის თანამშრომლები, კატეგორიულად არ ვეთანხმებით და ვგმობთ ხელისუფლების ბოლო დროინდელ გადაწყვეტილებებს. ასევე, ჩვენთვის საშინლად მიუღებელია მომიტინგეების მიმართ გამოყენებული ძალადობა და სისხლის ღვრა. აქვე მკაფიოდ ვაფიქსირებთ, რომ ვემიჯნებით თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ჩვენთვის შეურაცხმყოფელ განცხადებებს! ჩვენ ვდგავართ ჩვენი ხალხის გვერდით. დიახ! თანამშრომელთა ნაწილი გაფიცულია და არ ვაპირებთ სპექტაკლების თამაშს! საქართველოს მომავალი ევროპაშია! ხელმომწერთა სია განახლებადია"**, – წერს რეჟისორი ოთარ ქათამაძე.

ოთარ ქათამაძე იმ ადამიანების სიასაც აქვეყნებს, რომლებიც, მისი თქმით, გაფიცულები არიან: **ოთო ქათამაძე, კახა კობალაძე, ლია აბულაძე, ეკა ჩავლეიშვილი, გაგა გოშაძე, ნატო გოგიტაური, მერი ნაკაშიძე, დათო წერეთელი, მამუკა მანჯგალაძე, ლამუნა მიქაუტაძე, ზურაბ გორგილაძე, ლაშა კონცელიძე, ელენე კომახიძე, მიხეილ ღომიძე, რეზი ლორთქიფანიძე, ლევან კაკულია, ჯემალ ველიაძე, ტიტე კომახიძე, მაია ცეცხლაძე, ზაზა ზოიძე, თეონა შამილაძე, ანანო იაშვილი, თორნიკე ბარამიძე, მეგი კობალაძე, დავით კახიძე, ავთო ქარჩავა, ნოდარ ძიძიგური, თათია თათარაშვილი, ლევან კაკურია, ოთარ დოლიძე, ზვიად დოლიძე, მიხეილ საღარაძე, მალხაზ კონცელიძე, კობა ბაბილოძე, ოთარ ჯოხთაბერიძე, ამირან კირკიტაძე, ირაკლი კრასნაპოლსი, ლევან ჯაიანი, ჯანო ჯაიანი, დავით დიასამიძე, დავით ნაკაშიძე, გიორგი ყურავა, ქეთა ბარამიძე, ანა ლებანიძე, გიორგი ფირცხალაიშვილი, ლუკა ბესელია, მადონა კილაძე, თამრიკო მესხიძე, თათია ანდღულაძე, ნანა ქობულია, ანასტასია გოგიჩაიშვილი, აკაკი ჯაში, ნინო კილაძე, მანანა კილაძე, ჯუმბერ კახიძე და ხატია ფოფხაძე.**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
**აშშ დოლარი - 2.8468; ევრო - 2.9894;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6077;**
**100 რუბლი - 2.7102; თურქული ლირა - 0.0819;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.6742;**
**1000 სომხური დრამი - 7.0860.**

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი
წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ**
**ელექტრონულ**
**მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში"
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 9 დეკემბერს**